პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

F 76
1939
№ 288
ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურული საქართველო

8 იანვარი, 1939 წ. | საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო | ფასი 30 კაპ. № 1 (88)

შრომის დისციპლინის მოწესრიგების, სახელმწიფო სოციალური დაზღვევის პრაქტიკის გაუმჯობესებისა და ამ საქმეში ბოროტმოქმედებებთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს, საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტისა და პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს დადგენილება

საბჭოთა კავშირში მშრომელები მუშაობენ არა კაპიტალისტებისათვის, არამედ თავიანთი თავისათვის, თავიანთი სოციალისტური სახელმწიფოსათვის, მთელი ხალხის საკეთილდღეოდ. მუშათა და მოსამსახურეთა დიდი უმრავლესობა პატიოსნად და კეთილსინდისიერად მუშაობს საწარმოებში, ტრანსპორტზე, დაწესებულებებში, იჩენს შრომისადმი შეგნებულ დამოკიდებულებას, იძლევა დამკვრელობისა და შრომითი მამაცობის ნიმუშებს, ანმტკიცებს სამშობლოს ძლიერებასა და თავდაცვისუნარიანობას.

მაგრამ პატიოსან და კეთილსინდისიერ მუშაკებთან ერთად ჯერ კიდევ არიან ცალკეული შეუგნებელი, ჩამორჩენილი და არაკეთილსინდისიერი ადამიანები — ფრენიები, ცუღლუტები, სამუშაოს გამცდენები და წამლეჯები.

ეს ადამიანები თავიანთი არაკეთილსინდისიერი მუშაობით, სამუშაოს გაცდენით, სამუშაოზე დაგვიანებით, მუშაობის დროს საწარმოში უმიზნო სიარულით და შრომითი შინაგანაწესის სხვაგვარი დარღვევებით, აგრეთვე ერთი საწარმოდან მეორეში ხშირი თვითნებური გადასვლით შრომის დისციპლინას სცემენ, დიდ ზარალს აყენებენ მრეწველობას, ტრანსპორტსა და მთელს სახალხო მეურნეობას.

ისინი ცდილობენ რაც შეიძლება ნაკლები იმუშაონ სახელმწიფოსათვის, ხოლო თავისთვის რაც შეიძლება მეტი ფული წაჰგლიჯონ. ისინი ბოროტად იყენებენ საბჭოთა კანონებს და წესებს შრომის შესახებ, უყენებენ მათ თავიანთი ანგარებითი ინტერესებისათვის. ისინი სამუშაო დღის დაწესებულ საათებსაც კი არ მუშაობენ მთლიანად, არამედ ხშირად მხოლოდ 4 ან 5 საათს მუშაობენ და სამუშაო დროის დანარჩენ 2-3 საათს ფუჭად ჰფლანგავენ. ამაზე ხალხი და სახელმწიფო ყოველწლიურად ჰკარგავენ მილიონობით სამუშაო დღეებს და მილიარდობით მანეთებს.

როდესაც ფრენიებსა და ცუღლუტებს სამუშაოდან ითხოვენ, ისინი სასამართლოში ჩივილს იწყებენ, და, არ მუშაობენ რა, ცდილობენ მიიღონ ფული ვითომდა იძულებითი გაცდენისათვის. შრომის დისციპლინის დარღვევისათვის საწარმოიდან დათხოვნა, როგორც წესი, არ წარმოადგენს რამდენადმე ნამდვილ სასჯელს სამუშაოს გამცდენებისათვის, ვინაიდან მეტწილად ისინი დაუყოვნებლივ ეწყობიან სამუშაოზე სხვა საწარმოებში.

იყენებენ რა ამჟამად მოქმედ კანონს შვებულებათა მიცემის წესის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს შვებულების უფლებას საწარმოსა ან დაწესებულებაში 5 ½ თვის მუშაობის შემდეგ, ფრენიები და ცუღლუტები, გადადიან რა ერთი საწარმოდან მეორეში, წლის განმავლობაში ორი შვებულების მიღებას ახერხებენ და უპირატესობრივ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან ხოლმე კეთილსინდისიერ მუშებთან და მოსამსახურეებთან შედარებით.

ქარხნებისა და ფაბრიკების მიერ თავისი მუშებისა და მოსამსახურეებისათვის აგებულ სახლებში ბინები ხშირად უკავიათ იმ პირთ, რომლებმაც თვითნებურად მიანებეს თავი ამ საწარმოებში მუშაობას ან დათხოვნილნი არიან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის, ხოლო ამის გამო ის მუშები და მოსამსახურეები, რომელნიც ხანგრძლივად და პატიოსნად მუშაობენ ერთ საწარმოში, ძალიან ხშირად მოკლებულნი არიან მათთვის საჭირო საცხოვრებელ ფართობს.

დასასვენებელი სახლებისა და სანატორიუმების საგზურთა განაწილების დროს ფრენიები და გამცდენები ისეთივე უფლებებით სარგებლობენ, როგორითაც პატიოსნად მომუშავე მოსამსახურეები და მუშები. ასევე შრომის უნარის დროებით დაკარგვის გამო სადაზღვევო დახმარების გაცემისას, აგრეთვე პენსიების დანიშვნისას საჭირო სიმკაცრით არ ანსხვავებენ ერთმანეთისაგან მოცემულ საწარმოში ან დაწესებულებაში მუშაობის დიდი განუწყვეტელი სტაჟის მქონე კეთილსინდისიერ მუშაკებსა და შრომის დისციპლინის დამრღვევებს — ფრენიებს, რომელნიც ერთი საწარმოდან და დაწესებულებიდან მეორეში გადარბიან.

ზოგიერთი პროფკავშირული, სამეურნეო, აგრეთვე სასამართლო ორგანო შეუწყნარებელ ანტიხალხურ წაყრუებას იჩენს შრომის დისციპლინის დამრღვევთადმი და ხელსაც კი აფარებს მათ — ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესების საზიანოდ, — სწყვეტს რა ხშირად ფრენიებისა და გამცდენების სასარგებლოდ ისეთ საკითხებს, როგორიცაა: შრომის უნარის დროებით დაკარგვის გამო დახმარების გაცემა, საქარხნო ბინებიდან გასახლება და სხვ.

ყოველივე ეს ისეთ მდგომარეობას იწვევს, როდესაც არაკეთილსინდისიერ მუშაკებს, მცირე შრომით, შეუძლიათ იცხოვრონ სახელმწიფოს ხარჯზე, ხალხის ხარჯზე, რაც სამართლიან პროტესტებს იწვევს მუშებისა და მოსამსახურეების უმრავლესობის მხრით და მოითხოვს ერთგვარ ცვლილებათა შეტანას შრომის შინაგანაწესის არსებულ წესებსა და სოციალური დაზღვევის ნორმებში, რათა შემდეგში არ იქნას დაშვებული თანაბარი დამოკიდებულება კეთილსინდისიერი მუშაკებისა და ცუღლუტებისადმი, ფრენიებისადმი, რათა წახალისებულ იქნან მხოლოდ პატიოსნად მომუშავე მუშები და მოსამსახურეები, და არა ისინი, ვინც ძირს უთხრის შრომის დისციპლინას და იოლად გადარბის ერთი საწარმოდან მეორეში.

დიდ ბოროტმოქმედებას აქვს ადგილი აგრეთვე ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულებათა გამოყენების პრაქტიკაში. ხშირია ისეთი ფაქტები, როდესაც ზოგიერთი ქალი, ისწრაფვის რა მოტყუებითი გზით ხელი მოითბოს სახელმწიფოს ხარჯზე, მშობიარობამდე ცოტა ხნით ადრე შედის სამუშაოდ საწარმოსა და დაწესებულებაში მხოლოდ იმისათვის, რომ 4 თვის შვებულება მიიღოს სახელმწიფოს ხარჯზე და მერე აღარ დაბრუნდეს სამუშაოზე. სახელმწიფოს ინტერესები მოითხოვენ, რათა დაუყოვნებლივ მოეღოს ბოლო ამ ბოროტმოქმედებებს.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო, საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი და პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭო — **ადგენენ:**

1. დაევალოს საწარმოთა და დაწესებულებათა ადმინისტრაციას პროფკავშირულ ორგანოებთან ერთად გააჩაღოს გადამწყვეტი ბრძოლა შრომის დისციპლინის და შრომის შინაგანაწესის წესების ყველა დამრღვევთან, გამცდენებთან, ცუღლუტებთან, წამლეჯებთან,—ყველა იმათთან, ვინც არაპატიოსნად ეკიდება თავის შრომით მოვალეობებს, ვინც უნდა იყოს იგი — მოსამსახურე თუ მუშა.

კანონი მოითხოვს იმ მუშისა თუ მოსამსახურის დათხოვნას, რომელმაც დაუშვა გაცდენა არასაპატიო მიზეზით. ეს ღონისძიება მიმართულია მუქთახორების წინააღმდეგ, რომელთაც არ უნდათ იშრომონ, არამედ ისწრაფვიან იცხოვრონ სახელმწიფოს ხარჯზე, ხალხის ხარჯზე. კანონის მოთხოვნა გამცდენების დათხოვნის შესახებ მტკიცედ უნდა სრულდებოდეს.

კანონით დაწესებულია და მუშათა კლასის მიერ მიღებულია რვა საათის სამუშაო დღე, შვიდი საათის სამუშაო დღე, ექვსი საათის სამუშაო დღე სხვადასხვა საწარმოსა და დაწესებულებისათვის, მუშაობის პირობების მიხედვით. ამასთან მუშათა დიდ უმრავლესობას აქვს შვიდი საათის სამუშაო დღე. სახელმწიფო მოითხოვს და მუშათა კლასი მხარს უჭერს ამ მოთხოვნას, რომ სამუშაო დღის კანონით დაწესებული ხანგრძლივობა დაცულ იქნას ზუსტად და ყოველგვარი დარღვევის გარეშე, რომ იქ, სადაც დაწესებულია რვა საათის, შვიდი საათის ან ექვსი საათის სამუშაო დღე, მუშაობა სწარმოებდეს, კანონის თანახმად, სრულ რვა, შვიდ და ექვს საათს. სამუშაოზე დაგვიანება, სადილად ნაადრევად წასვლა, ნასადილევს დაგვიანებით მოსვლა, საწარმოდან ნაადრევად წასვლა, აგრეთვე სამუშაო დროს უსაქმურობა —ყოველივე ეს წარმოადგენს შრომის დისციპლინის უაღრესად უხეშ დარღვევას, კანონის დარღვევას, რომელიც იწვევს ქვეყნის სამეურნეო და თავდაცვითი ძლიერებისა და ხალხის კეთილდღეობისათვის ძირის გამოთხრას.

მუშას ან მოსამსახურეს, რომელმაც დაუშვა სამუშაოზე დაგვიანება საპატიო მიზეზების უქონლად, ან ნაადრევად წავიდა სადილად, ან ნასადილევს დააგვიანა მოსვლა, ან ნაადრევად წავიდა საწარმოდან ან დაწესებულებიდან, ან უსაქმურობდა სამუშაო დროს, ადმინისტრაციის მიერ დაედება სასჯელი: შენიშვნა ან საყვედური, ან საყვედური გაფრთხილებით დათხოვნის შესახებ; სხვა, უფრო დაბალხელფასიან სამუშაოზე გადაყვანა ვადით 3 თვემდე, ან დაბალ თანამდებობაზე ჩამოყენება.

მუშა ან მოსამსახურე, რომელმაც ერთი თვის განმავლობაში დაუშვა სამი ასეთი დარღვევა, ან ოთხი დარღვევა ორი თვის განმავლობაში ზედიზედ, დათხოვნილ უნდა იქნას როგორც სამუშაოს გამცდენი, როგორც დამრღვევი კანონისა შრომის და შრომითი დისციპლინის შესახებ.

2. დაწესდეს, რომ შრომის დისციპლინის განმტკიცების ღონისძიებათა გატარებისაგან თავის არიდებისათვის და სამუშაოს გამცდენების, ფრენიებისა და ცუღლუტების წინააღმდეგ ზომების მიუღებლობისათვის ამ დადგენილებისა და „საპატიო მიზეზების გარეშე სამუშაოს გაცდენისათვის დათხოვნის შესახებ" სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის 15 ნოემბრის დადგენილების (სსრკ კან. კრ. 1932 წ. № 78, მუხ. 475) შესაბამისად — საწარმოთა, დაწესებულებათა, სავაჭროთა და განყოფილებათა ხელმძღვანელებს ზემდგომი ორგანოები პასუხისგებაში მისცემენ თვით სამუშაოდან მოხსნამდე და სამართალში მიცემამდეც კი.

3. მუშები და მოსამსახურეები საკუთარი სურვილით სამსახურიდან დათხოვნისას მოვალენი არიან ერთი თვით ადრე გააფრთხილონ ამის შესახებ საწარმოთა ან დაწესებულებათა ადმინისტრაცია.

4. იმ შემთხვევაში, როდესაც მუშის ან მოსამსახურის დათხოვნას არ ექნება საკმაო საფუძველი, იძულებითი გაცდენის ანაზღაურება ხდება საშუალო ხელფასის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 20 დღისა, ამასთან საწარმოთა და დაწესებულებათა ადმინისტრაცია, ფაბქარხკომები, ადგილკომები და შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიები მოვალენი არიან უმართებულოდ დათხოვნის შესახებ საჩივარი განიხილონ 3 დღის განმავლობაში, საჩივრის შემოსვლის დღიდან, ხოლო სასამართლო ორგანოებმა—5 დღის განმავლობაში.

5. მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც პროფესიული კავშირის წევრებად ირიცხებიან, დახმარება შრომის უნარის დროებით დაკარგვის გამო (ორსულობისა და მშობიარობის გამო დახმარების ჩაუთვლელად) მიეცემათ შემდეგი ოდენობით — მოცემულ საწარმოსა ან დაწესებულებაში განუწყვეტელი მუშაობის სტაჟის მიხედვით:

ა) როდესაც ერთსდაიმავე დაწესებულებაში მუშაობის განუწყვეტელი სტაჟი	6 წელზე მეტია	ხელფასის	100%
ბ) " "	3-დან 6 წლამდე	"	80%
გ) " "	2-დან 3 წლამდე	"	60%
დ) " "	2 წლამდე	"	50%

6. მოზარდებს 18 წლის ასაკამდე, რომლებიც პროფესიული კავშირის წევრებად ირიცხებიან, მე-5 მუხლში მოხსენებული დახმარება მიეცემათ შემდეგი ოდენობით — მოცემულ საწარმოსა ან დაწესებულებაში განუწყვეტელი მუშაობის სტაჟის მიხედვით: 2 წელს ზევით განუწყვეტელი სტაჟის დროს — ხელფასის 80 პროც. ხოლო 2 წლამდე—ხელფასის 60 პროც. ამასთან მოცემულ საწარმოში განუწყვეტელი მუშაობის სტაჟად ჩაითვლება აგრეთვე საფაბრიკო-საქარხნო მოწაფეობის სკოლაში სწავლაც.

7. ქვანახშირის მრეწველობის მიწისქვეშ მომუშავე მუშაკებს —პროფესიული კავშირის წევრებს, რომლებიც მუშაობენ ქვანახშირის ამოღებასა ან შახტში მოსამზადებელ სამუშაოზე, მე-5 მუხლში აღნიშნული დახმარება მიეცემათ შემდეგი ოდენობით — მოცემულ შახტში განუწყვეტელი მუშაობის სტაჟის მიხედვით: 2 წელზე მეტი განუწყვეტელი სტაჟის დროს—ხელფასის 100 პროც., ხოლო 2 წლამდე—ხელფასის 60 პროც.

8. იმ მუშებსა და მოსამსახურეებს — პროფესიული კავშირის წევრებს, — რომლებიც 1933 წლის 1-ლი იანვრის შემდეგ ამუშავებულ ქარხნებსა და ფაბრიკებში შევიდნენ არაუგვიანეს 1936 წლის 1-ლი იანვრისა და განუწყვეტლივ მუშაობენ იქ, დახმარება შრომის უნარის დროებით დაკარგვის გამო (ორსულობისა და მშობიარობის გამო დახმარების ჩაუთვლელად) ეძლევათ შემდეგი რაოდენობით—ამ საწარმოში განუწყვეტელი მუშაობის სტაჟის მიხედვით: 5 წელზე მეტი განუწყვეტელი სტაჟის დროს—ხელფასის 100 პროც., 3-დან 5 წლამდე—ხელფასის 80 პროც. ამ საწარმოთა მუშებსა და მოსამსახურეებზე, რომელთაც მუშაობის განუწყვეტელი სტაჟი 3 წელზე ნაკლები აქვთ, ვრცელდება შრომის უნარის დროებით დაკარგვის გამო დახმარების მიცემის ის წესი, რომელიც გათვალისწინებულია ამ დადგენილების მე-5 მუხლში.

9. მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც პროფესიული კავშირის წევრებად არ ირიცხებიან, დახმარება შრომის უნარის დროებით დაკარგვის გამო (ორსულობისა და მშობიარობის გამო დახმარების ჩაუთვლელად) ეძლევათ ნახევარი რაოდენობით იმ ნორმებთან შედარებით, რომლებიც დაწესებულია კავშირის წევრებისათვის.

10. შრომის უნარის დროებით დაკარგვის გამო დახმარების დანიშვნის დროს სტაჟი განუწყვეტლად ითვლება აგრეთვე იმ შემთხვევაშიაც, თუ მუშა ან მოსამსახურე აქამდე ერთი საწარმოდან ან დაწესებულებიდან მეორეში გადავიდა სამეურნეო ორგანოს ან დაწესებულების ადმინისტრაციის განკარგულების საფუძველზე.

11. შრომის დისციპლინის დარღვევისა ან დანაშაულის ჩადენისათვის დათხოვნილ და აგრეთვე თავისი სურვილით სამუშაოდან წასულ მუშებსა და მოსამსახურეებს შრომის უნარის დროებით დაკარგვის გამო დახმარებით უზრუნველყოფის უფლება აქვთ იმის შემდეგ როდესაც ისინი 6 თვეს მაინც იმუშავებენ მუშაობის ახალ ადგილას. ეს წესი არ ვრცელდება იმ მუშებსა და მოსამსახურეებზე, რომელნიც სამუშაოდან დათხოვნილნი ან თვითნებურად არიან წასულნი ამ დადგენილების გამოქვეყნებამდე.

12. „ქალაქებში საბინაო ფონდის დაცვისა და საბინაო მეურნეობის გაუმჯობესების შესახებ" სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1937 წ. 17 ოქტომბრის დადგენილების (სსრ კავშირის 1937 წლის კან. კრ. № 69, მუხ. 314) 31 მუხლის საფუძველზე წესდება, რომ ის მუშები და მოსამსახურეები, რომლებსაც მოცემულ საწარმოში მათს მუშაობასთან დაკავშირებით მიცემული აქვთ საცხოვრებელი სადგომი სახელმწიფო საწარმოს, დაწესებულების ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის სახლში (ან ამ საწარმოთა და დაწესებულებათა მიერ იჯარით აღებულ სახლში), იმ შემთხვევაში, თუ ისინი ამ დადგენილების გამოქვეყნების შემდეგ საკუთარი სურვილით წავლენ საწარმოდან ან დაწესებულებიდან ან დათხოვნილი იქნებიან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის, აგრეთვე დანაშაულის ჩადენისათვის—აუცილებლად გასახლებულ უნდა იქნან ადმინისტრატიული წესით, ერთი დეკადის ვადაში, საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად.

13. მორიგი შვებულების უფლება მუშებსა და მოსამსახურეებს ეძლევათ მოცემულ საწარმოში ან დაწესებულებაში 11 თვის განუწყვეტელი მუშაობის გასვლის შემდეგ.

14. დაწესებული წლიური შვებულების გარდა, მუშა ქალებსა და მოსამსახურე ქალებს ორსულობისა და მშობიარობის შემთხვევაში ეძლევათ შვებულება 35 კალენდარული დღით მშობიარობამდე და 28 კალენდარული დღით მშობიარობის შემდეგ, ამასთან ამ პერიოდის განმავლობაში დახმარება მიეცემათ სახელმწიფო ხარჯზე წინათ დადგენილი ოდენობით. აღნიშნული შვებულება და ორსულობისა და მშობიარობის გამო დახმარება ეძლევათ იმათ, ვისაც მოცემულ საწარმოში განუწყვეტლივ უმუშავნია არანაკლებ 7 თვისა.

15. დასასვენებელი სახლების საგზურთა მიღების უპირატესი უფლება ენიჭებათ იმ მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებსაც მოცემულ საწარმოში ან დაწესებულებაში განუწყვეტლივ უმუშავნიათ 2 წელზე მეტხანს.

16. შვებულებანი შრომის უნარის დროებით დაკარგვის გამო (ავადმყოფობა, ორსულობა, მშობიარობა და სხვ.), რომლებიც ამ დადგენილების გამოქვეყნების დღისათვის არ დამთავრებულა, დარჩენილი ვადისათვის ეძლევათ და ანაზღაურდება შვებულების დაწყების დროისათვის მომქმედი წესების მიხედვით.

17. იმ მუშებისა და მოსამსახურეების მიმართ, რომლებიც კერძო დამქირავებლებთან მუშაობენ (შინამოსამსახურე ქალები, საკონცესიო საწარმოთა მუშები და მოსამსახურეები), ამ დადგენილებით გათვალისწინებული საკითხები წესრიგდება განსაკუთრებული წესებით, რომლებსაც გამოსცემს პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭო და ამტკიცებს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო.

18. შრომის I და II ჯგუფის ინვალიდებისათვის (საერთო დაავადებისაგან) პენსიის მისაღებად მიმართვამდე ერთ საწარმოში ან დაწესებულებაში განუწყვეტელი მუშაობის სტაჟისათვის წესდება შემდეგი წანამატი:

კ ა ტ ე გ ო რ ი ა	განუწყვეტელი სტაჟი	დაწესებული პენსიის წანამატი პროცენტობით	
I კატეგორია — მიწისქვეშა და მავნე სამუშაოებზე მომუშავე მუშები და მოსამსახურეები.	3-დან 5 წლამდე	10	პროც.
	5-დან 10 წლამდე	20	"
	10 წელს ზევით	25	"
II **კატეგორია** — მეტალურგიული, მანქანათმშენებლობის, ელექტროტექნიკური, ქვანახშირის, სამთამადნო, ნავთის, ძირითადი ქიმიური და რეზინის მრეწველობის, რკინიგზისა და წყლის ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის საწარმოთა მუშები და მოსამსახურეები.	4-დან 8 წლამდე	10	პროც.
	8-დან 12 წლამდე	15	"
	12 წელს ზევით	20	"
III **კატეგორია** — დანარჩენი მუშები და მოსამსახურეები	5-დან 10 წლამდე	10	პროც.
	10-დან 15 წლამდე	15	"
	15 წელს ზევით	**20**	"

პენსიონერებს, რომლებსაც პენსიისათვის მიმართვამდე ერთ საწარმოსა ან დაწესებულებაში განუწყვეტელი მუშაობის 5 წელზე მეტი სტაჟი აქვთ, ენიჭებათ იმ სასანატორო-საკურორტო საგზურების მიღების უპირატესობრივი უფლება, რომლებსაც პენსიონერებისათვის გამოჰყოფენ.

19. მუშებსა და მოსამსახურეებს ინვალიდობის გამო პენსიები დაენიშნებათ მუშაობის შემდეგი სტაჟის დროს:

ს ტ ა ჟ ი

ა ს ა კ ი	მამაკაცები	ქალები	მიწისქვეშა და მავნე სამუშაოები
20-დან 22 წლამდე	3	2	2
22-დან 25 წლამდე	4	3	3
25-დან 30 წლამდე	6	4	4
30-დან 35 წლამდე	8	5	5
35-დან 40 წლამდე	10	7	6
40-დან 45 წლამდე	12	9	7
45-დან 50 წლამდე	14	11	8
50-დან 55 წლამდე	16	13	10
55-დან 60 წლამდე	18	14	12
60 წელს ზევით	20	15	14

იმ შემთხვევაში, თუ ინვალიდობა 20 წლის ასაკის მიღწევამდე მოხდა, აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც ინვალიდობა შრომითმა დასახიჩრებამ ან პროფესიულმა დაავადებამ გამოიწვია, პენსიები დაენიშნებათ სტაჟის ხანგრძლივობის მიუხედავად.

20. პენსიონერებს, რომლებიც განაგრძობენ მუშაობას მას შემდეგ, რაც მათ დაენიშნათ პენსია **მოხუცებულობის გამო**, ეს პენსიები მიეცემათ შემოსავლის მიუხედავად.

მხედველობაში არ მიიღება აგრეთვე თვეში 100 მანეთამდე შემოსავალი, რომელსაც I და II ჯგუფების ინვალიდები იღებენ სახლში შესრულებული სამუშაოსათვის, რასაც მათ ინვალიდთა კოოპერაციის არტელები აძლევენ; იმ შემთხვევაში როდესაც ამ ინვალიდთა შემოსავალი თვეში 100 მანეთს აღემატება, პენსია სათანადოდ შემცირდება, მაგრამ ამასთან ინვალიდს ენახება პენსიის არანაკლებ 50%-სა.

21. განუწყვეტელი სტაჟისათვის წანამატებისა და პენსიონერთა ხელფასის აღრიცხვის შეღავათების დაწესებასთან დაკავშირებით (ამ დადგენილების 18 და 20 მუხლები)—უქმდება ყველა სახის პენსიისა და ინვალიდობის ყველა ჯგუფის მიხედვით წანამატები და გადაანგარიშებანი, რომლებიც დაწესებულია სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოს 1932 წლის 29 თებერვლის № 47 დადგენილების 4, 6, 8, 13, 19 და 20 მუხლებით.

წინათ დარიცხული წანამატები წინანდელი ოდენობით რჩება.

22. პენსიონერებს, რომლებიც სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებს დაუმალავენ თავიანთ ხელფასს ან სხვა შემოსავალს, რაც აღრიცხულ უნდა იქნას პენსიების გაცემის დროს, ერთმევათ პენსია 6 თვით.

23. იმასთან დაკავშირებით, რომ, სსრ კავშირში პენსიებით უზრუნველყოფის საერთო მაღალი დონის პირობებში, მოიპოვებიან ისეთი პენსიონერები, რომელნიც პენსიაზე გადავიდნენ მრავალი წლის წინათ, როდესაც პენსიების ნორმები და ხელფასის დონე მნიშვნელოვნად ნაკლები იყო, ვიდრე ამჟამად არის —დაწესდეს, რომ პენსიები სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ხაზით, მათი დანიშვნის დროის დამოუკიდებლად, უნდა იყოს არანაკლებ შემდეგი ოდენობისა თვეში (ყველა წანამატის ჩათვლით):

პენსიონერთა კატეგორიები	რომელთაც არა ჰყავთ ოჯახის არაშრომისუნარიანი წევრები	რომელთაც ჰყავთ ოჯახის ერთი არაშრომისუნარიანი წევრი	რომელთაც ჰყავთ ოჯახის ორი ან მეტი არაშრომისუნარიანი წევრი
პენსიონერები, რომელნიც ღებულობენ პენსიას მოხუცებულობისა ან ნამსახურობის გამო, და I ჯგუფის ინვალიდები	50 მან.	60 მან.	75 მან.
II ჯგუფის ინვალიდები . . .	40 მან.	50 მან.	60 მან.
ოჯახები, რომლებმაც დაჰკარგეს მარჩენალი	—	30 მან.	40 მან.

III ჯგუფის ინვალიდებისათვის პენსიები სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ხაზით უნდა იყოს არანაკლებ 25 მანეთისა თვეში.

24. იმ პენსიონერებისათვის პენსიებისა და დახმარების გაცემის ხარჯები, რომელნიც საწარმოში ან დაწესებულებაში არ მუშაობენ და პენსიას სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ხაზით იღებენ, აგრეთვე ამ პენსიონერთა სასანატორო-საკურორტო მომსახურების ხარჯები უნდა გაიღონ სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებმა სახელმწიფო სოციალური დაზღვევის სახსრების ხარჯზე.

25. სახელმწიფო სოციალური დაზღვევის სახსრების მთელი ეკონომია, ამ დადგენილების გატარებასთან დაკავშირებით მიღებული, პროფესიულმა კავშირებმა უნდა მოახმარონ მუშებისა და მოსამსახურეებისათვის საცხოვრებელი სახლების, ბაგებისა და საბავშვო ბაღების დამატებით მშენებლობას—იმ სახსრების გადამეტებით, რომლებსაც ამ მიზნებისათვის იძლევა მთავრობა.

26. ეს დადგენილება ძალაში შედის 1939 წლის 1 იანვრიდან.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე

ვ. მოლოტოვი

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის მდივანი

ი. სტალინი

პროფესიული კავშირების სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს მდივანი

ნ. შვერნიკი

1938 წ. 28 დეკემბერი.

სოციალისტური შრომის კანონი

ამ რამდენიმე დღის წინად გამოქვეყნდა სსრ კავშირის სახკომსაბჭოს, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს დადგენილება „შრომის დისციპლინის მოწესრიგების, სახელმწიფო სოციალური დაზღვევის პრაქტიკის გაუმჯობესებისა და ამ საქმეში ბოროტმოქმედებებთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ".

საბჭოთა კავშირის მთელი მშრომელი მოსახლეობა დიდის კმაყოფილებით შეხვდა ამ მეტად მნიშვნელოვან დოკუმენტის — სოციალისტური შრომის კანონის გამოქვეყნებას. შრომა სსრ კავშირში ღირსების, სიმამაცის და გმირობის საქმეა. სოციალისტურმა შეჯიბრებამ წარმოშვა გმირული შრომა. „ყველაზე უფრო ღირსშესანიშნავი შეჯიბრებაში არის ის, რომ იგი ძირეულ გარდატეხას ახდენს ადამიანთა შეხედულებაში შრომაზე, ვინაიდან ის შრომას სათაკილო და მძიმე ტვირთისაგან, როგორადაც მას სთვლიდნენ წინად, ხდის **ღირსების** საქმედ, **დიდების** საქმედ, **სიმამაცისა და გმირობის** საქმედ. არაფერი ამის მსგავსი არ არის და არც შეიძლება იყოს კაპიტალისტურ ქვეყნებში. იქ, მათთან, კაპიტალისტებთან, ყველაზე უფრო სასურველი საქმე, რომელიც საზოგადოებრივ მოწონებას იმსახურებს, არის რენტა, პროცენტებით ცხოვრება, თავისუფლად ყოფნა შრომისაგან, რომელსაც სამარცხვინო საქმედ სთვლიან. ჩვენთან, საბჭოთა კავშირში, პირიქით, ყველაზე უფრო სასურველ საქმედ, რომელიც საზოგადოებრივ მოწონებას იმსახურებს, ხდება შესაძლებლობა იყო შრომის გმირი, შესაძლებლობა იყო დამკვრელობის გმირი, პატივისცემის შარავანდედით შემოსილი მილიონ მშრომელთა **შორის**" (**სტალინი**).

ბოლშევიკების პარტია და საბჭოთა მთავრობა განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობიან გმირული შრომის ადამიანებს, დიდებითა და სიყვარულით ჰმოსავენ მათ. ამ ადამიანებისადმი პარტიისა და ხელისუფლების უდიდესს ყურადღებას წარმოადგენს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის ამ რამდენიმე დღის წინად გამოქვეყნებული ბრძანებულებები სოციალისტური შრომის გმირის საპელწოდების დაწესებისა და „შრომითი მამაცობისათვის" და „შრომითი წარჩინებისათვის" მედალების დაარსების შესახებ.

მრავალი მილიონი წარჩინებული ადამიანი აღიზარდა ჩვენს ქვეყანაში. მაგრამ მათ გვერდით კიდევ არიან შეუგნებელი ცალკეული არაკეთილსინდისიერი ადამიანები—ფრენიები, ცუღლუტები, სამუშაოს გამცდენები და წამლეჯები, რომლებიც უდიდეს ზარალს აყენებენ ჩვენს სახალხო მეურნეობას, ხელს უშლიან სოციალისტური სამშობლოს ძლევამოსილ წინსვლას. წარმოების ამ დეზორგანიზატორთა წინააღმდეგ არის მიმართული სოციალისტური შრომის ახალი კანონი.

მწერალთა კავშირში და მასთან გაერთიანებულ ორგანიზაციებშიაც არ არის შრომის დისციპლინის საქმე მოგვარებული. სამსახურში დაგვიანებას, სამუშაოდან თვითნებურად წასვლას, ან სულ არ გამოცხადებას სისტემატური ხასიათი აქვს. ხშირია ისეთი შემთხვევა, როცა სექციების ხელმძღვანელებს ვერ ნახავთ თავიანთ ადგილებზე, ისინი სამუშაოზე ცხადდებიან მხოლოდ სამუშაოს დამთავრებისას. გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოს", ჟურნალ „მნათობის" და „ჩვენი თაობის" რედაქციებშიაც შრომის დისციპლინას არ ექცევა საკმაო ყურადღება. მწერალთა ორგანიზაციების აპარატში მომუშავე ზოგიერთი მწერალი, ზოგიერთი მუშაკი ჰფიქრობს, რომ მათზე არ ვრცელდება შრომის სოციალისტური ფორმების გამოყენება. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ხელოვნებაში შრომის დისციპლინა არის შემოქმედების აუცილებელი ელემენტი.

4 იანვარს შესდგა მწერალთა ორგანიზაციების მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება. მომხსენებელმა ამხ. ს. წვერავამ განმარტა შრომის დისციპლინის განმტკიცების შესახებ გამოცემული ახალი დადგენილების უდიდესი მნიშვნელობა, მოიყვანა კონკრეტული მაგალითები მწერალთა კავშირში და მასთან გაერთიანებულ ორგანიზაციებში შრომის დისციპლინის დარღვევისა და შრომის სოციალისტური ფორმების არა სწორად გამოყენებისა.

მოხსენების გარშემო გამოსული ამხანაგები—ლ. ასათიანი, პ. ქეშელაშვილი, ი. მოსაშვილი, ნ. ჩაჩავა, ს. ეული, ლაზაშვილი ერთხმად აღნიშნავდნენ პარტიის, მთავრობისა და პროფესიული კავშირების საბჭოს დადგენილების უდიდეს მნიშვნელობას შრომის სოციალისტური ფორმების განმტკიცებისა და მუშა-მოსამსახურეთა ყოფითი პირობების გაუმჯობესების საქმეში. ისინი აღნიშნავდნენ ამ დადგენილების უდიდეს პოლიტიკურ-აღმზრდელობითს მნიშვნელობას. ამასთან ერთად შემოჰქონდათ კონკრეტული წინადადებები მწერალთა ორგანიზაციებში შრომის დისციპლინის განმტკიცების საქმის მოგვარებისათვის.

საბჭოთა ქვეყნის ყველა პატიოსანი პატრიოტი ესალმება ამ დადგენილებას და უპასუხებს მას შრომის ნაყოფიერების ახალი გადიდებით, ახალი შემოქმედებითი გამარჯვებებითა და მიღწევებით, შრომითი გმირობის ახალი ფაქტებით.

საბავშვო ლექსის დიდი ოსტატი

ერ. ასტვაცატუროვი

ხუთი წელი გავიდა საბავშვო პოეტის შიო მღვიმელის (ქუჩუკაშვილი) გარდაცვალებიდან. შიო ისეთივე პოპულარული და საყვარელი პოეტია ბავშვებისათვის, როგორც აკაკი. მისი სადა, ჰუმანური და სამშობლოს სიყვარულით გამსჭვალული ლექსები პირველ წაკითხვისასვე იპყრობდნენ ბავშვს, ხდიდნენ თავიანთ სულიერ თანამგზავრად, ბოროტების მოძულედ და სიკეთის მოტრფიალედ.

შიო მღვიმელმა ვრცელი შემოქმედებითი გზა გაიარა. მან უშუალოდ იგემა ძველი ყოფა-ცხოვრებითი და საზოგადოებრივი ურთიერთობის სიმწარე, თავისი საყვარელი სამშობლოს „ობლობა“ მეფის თვითმპყრობელობის ბატონობის საშინელ პირობებში. შიომ მძაფრად განიცადა 60—90-იანი წლების პროგრესული ინტელიგენციის იდეური გავლენა.

შიო მღვიმელის პოეტური ბუნებისა და ადამიანური ხასიათის გამომუშავებაში მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მის პირად ცხოვრებას, ბიოგრაფიას. გაჭირვებული ცხოვრების ზეგავლენით ბავშვობიდანვე გროვდებოდა წვეთ-წვეთად შიო მღვიმელის გულში ჰუმანური სითბო, ობლებისა და გაჭირვებულთა მოსარჩლეობის გრძნობა.

შიო ადრე დაობლდა, თოთხმეტი წლისა ჩაიყვანეს გორში და ხალხოსან მოღვაწეთა დახმარებით მიაბარეს საოსტატო სემინარიაში.

ამ დროს გორში ძლიერი იყო ხალხოსნურად განწყობილ ინტელიგენტთა წრე. იქ სწავლობდნენ აგრეთვე ვაჟა-ფშაველა და მისი ძმები თედო და ბაჩანა. შიომ გაიცნო ისინი და. დაუმეგობრდა. ვაჟა შიოზე ხუთი წლით დიდი იყო. იგი ბევრად უფრო მომზადებული იყო და საკმაოდ გარკვეული საზოგადოებრივ მოვლენებში, კარგად იცნობდა 60-იანელთა შეხედულებებს და იზიარებდა კიდეც მათ მიმართულებას. ახალგაზრდა ვაჟამ დიდი გავლენა მოახდინა შიოს აღზრდაზე და მის საზოგადოებრივ შეხედულებათა ჩამოყალიბებაზე. მაგრამ ამავე დროს დიდი იყო ხალხოსნების გავლენა. გორში ჩასვლის პირველ დღიდანვე შიო ხალხოსან მოღვაწეთა გარემოცვაში მოჰყვა.

1883—84 წლებში დაიწყო ხალხოსანთა სასტიკი დევნა, მათი ორგანიზაციების აკლება და მონაწილეთა დაპატიმრება. ამასთან დაკავშირებით დაიწყო გორის სემინარიის „წმენდა“, და შიოც, როგორც საეჭვო, დაითხოვეს სასწავლებლიდან.

სხვადასხვა პირთა დახმარებით, შიომ მოახერხა აღედგინა თავი სასწავლებელში და 1887 წელს დაამთავრა ოთხკლასიანი სამოქალაქო სასწავლებელი. ამავე წლის შემოდგომაზე ჩამოვიდა ტფილისში და მოეწყო წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში, სადაც 1909 წლამდე მსახურობდა. ამის შემდეგ იგი მუშაობდა კორექტორად სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთის რედაქციებში და მეტად გაჭირვებულად ცხოვრობდა. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მიეცა საშუალება ჩვენს მწერალს, მშვიდ და მყუდრო ცხოვრებას მისცემოდა, ყოველდღიური ზრუნვის საგნად მხოლოდ შემოქმედებითი წვა გაეხადა და აღფრთოვანებითა და ხალისით ეწერა თავისუფალი სამშობლოს სიყვარულის მხურვალე გრძნობით გამთბარი ლექსები თავისი საყვარელი მკითხველისათვის — ბედნიერი საბჭოთა ბავშვებისათვის.

* * *

შიო მღვიმელმა ლექსების წერა ადრე დაიწყო, მაგრამ სამწერლო ასპარეზზე 80-იანი წლების დასასრულს (1885 წლიდან) გამოვიდა.

ქართული მხატვრული ლიტერატურის დიდმა კლასიკოსებმა ვაჟამ, აკაკიმ და სხვებმა შესანიშნავი ღვაწლი დასდეს და ძალიან ბევრი გააკეთეს ქართული საბავშვო ლიტერატურის — პროზისა და პოეზიის განვითარებისათვის. მათ მრავალი მხატვრული მარგალიტი შესძინეს საბავშვო მწერლობას. მაგრამ შიო მღვიმელმა დაუფასებელი როლი შეასრულა ქართული საბავშვო მწერლობის განვითარების საქმეში. სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის პირველ დღიდანვე შიომ თავისი სპეტაკი პოეტური გრძნობები საბავშვო ლიტერატურას, ქართველი ბავშვების მხატვრულ და მორალურ აღზრდას მოახმარა. შიოსათვის საბავშვო შემოქმედება პირდაპირი მოწოდება იყო. შიომ მტკიცე საფუძველი ჩაუყარა და ტრადიცია შეუქმნა ქართულ საბავშვო ლექსს. შიოს გამოსვლით გაჰქრა ის სიცარიელე, რომელიც იგრძნობოდა ჩვენს ლიტერატურაში საბავშვო ლექსის საჭიროების მხრივ. ეს სიცარიელე განსაკუთრებით იგრძნობოდა დაბალი და საშუალო ჰასაკის ბავშვთათვის განკუთვნილ ლიტერატურაში. არ შეიძლებოდა ამ ხარვეზის შევსება მარტო ფოლკლორით, ზღაპრებით და კლასიკოსთა რამდენიმე დიდაქტიური ლექსით, რადგან ეპოქა მოითხოვდა აქტიურ და ყოველდღიურ მხატვრულ პასუხს, ბავშვთა აღზრდას ახალი იდეური და მხატვრული თვალსაზრისით, რის გადაჭრაც ფოლკლორს ყოველთვის არ შეეძლო. მაშინ, როცა ჩვენ გვქონდა ძლიერი მხატვრული მწერლობა, არ შეიძლებოდა საბავშვო მწერლობა ძველ მდგომარეობაში დარჩენილიყო.

შიო მღვიმელის ლექსებზე მრავალი თაობა აღზრდილა, მრავალ ქართველში აღუძრავს სამშობლოსა და სიმართლისადმი სიყვარული.

შიო მღვიმელის საბავშვო ლექსებში მთავარი ადგილი დათმობილი აქვს სამშობლოს სიყვარულისა და თავისუფლების თემას. ბევრი მისი ლექსი, დაწერილი მცენარესა და ყვავილზე, ერთგვარად სიმბოლიურ ხასიათს ატარებს. იქ გამოთქმული თავისუფლებისა და ლაღი ცხოვრების სურვილი შიოს დაუცხრომელი ოცნება იყო. ძალიან ხშირად შიო თავის საბავშვო ლექსებში შესტრფის არა მარტო ადამიანთა, არამედ მცენარეთა სილაღესა და თავისუფლებას. მაგრამ ეს იყო პოეტის არა უბრალო ამღერება, არამედ მისი ბუნებისა და მოწოდების გამოხატულება. მაგალითად, როცა პოეტი ემუდარება ცას:

„ყვავილებს წყალი სწყურიათ,
ცაო, ნუ დაღლი ცქერითა:
დაუშვი ჟუჟუნა წვიმა,
ჩქაფურით მშვენიერითა.

ფოთლებმა გაითამაშონ,
ნიავს დაუხვდნენ მღერითა,
ველ-მინდორს გული მოურთონ
ლამაზ შტოთი და ღერითა“.

უნდა ვიგულისხმოთ, რომ მისი ფანტაზია არ ჩერდება მხოლოდ მცენარის ბედზე, მის წყურვილსა და ოცნებაზე. იგი უფრო შორს მიდის. ასევე იქცევა მაშინაც, როცა ცხოველებისა და ფრინველების მაგალითზე ბოროტების ნიმუშებს იძლევა და გაბედულად ჰგმობს მას. ამით შიო ამზადებდა ნორჩ მკითხველში ნიადაგს ძველ ცხოვრებაში გამეფებულ ბოროტებასთან აშკარა ბრძოლაზე გამოსვლისათვის.

იმისათვის, რომ შიოს აღეძრა ბავშვში სამშობლოს სიყვარული, იგი წარმტაცი ფერებით ხატავდა მის ბუნებას, მთებს, ველებს, ტყეებს. პოეტი ეუბნებოდა ბავშვებს, არ დაევიწყნათ სამშობლო და დედაენა, რომლებიც ითელებოდნენ ცარიზმის დიდმპყრობელური პოლიტიკით, არ გაეცვალათ ისინი არაფერში:

„ვით მე არ ვცვლი ვარდს ეკალში
და ვინატრი მისა ლხენას,
ნურც შენ გასცვლი ნურაფერში
სამშობლოს და დედა-ენას“.

შიოს ლექსებს თავის დროზე დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდათ და კარგი პედაგოგის ხელში ისინი მძლავრ იარაღს წარმოადგენდნენ.

ასეთია საერთოდ შიოს შემოქმედების ზოგადი შტრიხები. შიო მღვიმელმა ძალიან ბევრი გააკეთა საბავშვო ლიტერატურისათვის. მის შემოქმედებითს ბიოგრაფიაში ღირსშესანიშნავია ისიც, რომ, მიუხედავად მოხუცებულობისა, მან საბჭოთა ხელისუფლების დროს ჩვენს ბედნიერ ბავშვებზე დასწერა მრავალი ლექსი. იგი მიესალმა განთავისუფლებულ ქვეყანას და მონახა მასში იმ ოცნების განხორციელება, რომელსაც მან შეგნებული ცხოვრების მანძილზე მთელი თავისი აზრი და გონება მოახმარა.

შიოს ცხოვრება და შემოქმედება საბჭოთა საბავშვო მწერლობისათვის მრავალმხრივ არის საყურადღებო. შიომ პირველმა გვიჩვენა თავის კონკრეტულ მაგალითზე ჩვენში, რომ ბავშვისა და საბავშვო ლიტერატურის უანგარო სიყვარულის გარეშე შეუძლებელია ნამდვილი, მაღალმხატვრული საბავშვო ლიტერატურის შექმნა.



შიო მღვიმელი

გიორგი კაჭახიძე

დილით შეხვედრა მზის და მდინარის
ფერს აგონებდა ფიქრით დანახულს...
დინჯი, კეთილი და უწყინარი
ეგებებოდა ბაღში გაზაფხულს

თვალს უბრწყინვებდა სიოს თამაში,
მწვანით ხეების მორთვა-შემოსვა
და შეჰხაროდა ლამაზ ქალაქში
ლაღი მაისის ლაღად შემოსვლას.

ტკბილად დალოცა ქვეყნის გაჩენა,
დრო ოცნებათა განავარდების;
გულის სიმდიდრე მერცხლებს აჩვენა
და სთქვა სიმღერა მზის დაბადების.

ვარდთა სიხარულს ჰვრეტდა გონებით,
მათი ღიმილიც გულს მიაშუქა...
ბოლოს ყვავილთა შეჰკრა კონები
და მიუტანა ბავშვებს საჩუქრად,

მათთან მგოსანი დიდხანს სტკბებოდა,
არ უდგებოდა წამი სიწყნარის
და სიყმაწვილე ენატრებოდა,
მარად კარგი და დაუვიწყარი.

სურდა ცხოვრება ლხენად ქცეული,
ვით ბავშვს, დაეწყო მოხუცს თავიდან, -
მაგრამ ყველასგან პატივცემული
ჩვენგან მგოსანი მალე წავიდა.

მკრთალად სახეზე დამკვიდრებოდა
ბინდი სიკვდილთან ნათამაშები...
მახსოვს, მოხუცი რომ გვშორდებოდა,
როგორ ტიროდნენ ჩვენი ბავშვები.

შემდეგ ქალაქში ვარდით, გვირილით
მოსვლა მაისმა ბევრჯერ ინება —
მაგრამ ყვავილებს შიოს ღიმილი,
შიოს სიცოცხლით არ ეფინება.

ფიქრი მამძიმებს... გრძნობაც გაღვივდა,
მესმის ბავშვების გულის ნადები:
ვერ ვისვენებ და მათთვის ბაღიდან
შიოს ღიმილით მიმაქვს ვარდები!

გაცნობა

ნინო ნაკაშიძე

შიოს მე ვიცნობდი 1895-6 წლიდან. მახსოვს, წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში შევედი. რაღაც წიგნის ყიდვა მინდოდა. მაღაზიაში აუარებელი ბავშვები იყვნენ თავმოყრილი და ჟრიამული გაჰქონდათ. ყველა უწევდა ხელს დახლის იქით მდგომარე კაცს და ეუბნებოდა:

—ძია, მე კარგი დედა-ენა მომეცი, კაი ამბები იყოს შიგ.

—ძია, მე ისეთი მომეცი, მზეო ამოდი, ამოდი იყოს.

—ძია, მე ყაყაჩოსა სიწითლითა მინდა..

—ძია, მე ვინ შეჭამა ვენახი... რწყილი და ჭიანჭველა, მე მწყერჩიტა...

—ძია, მე ეს არ მინდა, ამაში თხა და გიგო არ ყოფილა,—ფურცლავდა ერთი უკმაყოფილო ბიჭი.

გამაკვირვა ახალგაზრდა გამყიდველმა. მისმა განათებულმა, მომღიმარე სახემ და დამშვიდებულმა პასუხებმა. პასუხს აძლევდა ყველას. არც ერთი ბავშვი არ დაუტოვებია უყურადღებოდ:

—აჰა, შენ ძალიან კარგი დედა-ენა! საუცხოვო ამბებია შიგ შენისთანა კუდრაჭებისათვის,—ეუბნებოდა ერთს.

—აი, სწორედ ამ წიგნშია მზეო ამოდი, ამოდი.

—ამ „დედა-ენაში“ „ყაყაჩოს სიწითლითა“.

—აი, ნახე,—უშლიდა იგივე წიგნს,—„რწყილი და ჭიანჭველა“ აქ არის, „მწყერ ჩიტაც“, „თხა და გიგოც“ არის, განა ვერ ნახე? აი, ეს „ზარმაცი ბიჭი“ რომ იყო. აბა, აქ დაჯექი და მონახე. თუ ვერ ნახავ, მერე მე გიპოვი...

ბავშვები გახარებულნი, კმაყოფილნი გარბოდნენ წიგნებით ხელში. კარგა ხანს ვიდექი და ვუყურებდი ამ სურათს, არ მინდოდა დამერღვია მისი მთლიანობა და გამოვედი მაღაზიიდან. ქუჩაში რომ გამოვედი, იაკობ გოგებაშვილი შემხვდა და ეს ამბავი ვუამბე. მან გაიცინა და მითხრა: ის კაცი მწერალია, შიო მღვიმელიო.

მე ისევ დავბრუნდი და იაკობმა გამაცნო შიო. შემდეგ შიოს ხშირად ვხვდებოდი, მაგრამ ეს სურათი დღემდე თვალწინ მიდგას. ამ სურათმა ცოცხლად მაგრძნობინა, თუ როგორი განსაკუთრებული სიყვარულით უყვარდა შიოს ბავშვები. ამ დიდმა სიყვარულმა გახადა მისი სიცოცხლის მიზნად ბავშვების სამსახური და მთელი თავისი ნიჭი, თავისი გული და თავისი სულისთქმა მიატანინა ბავშვების საკეთილდღეოდ.

შიო მღვიმელის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო

29 დეკემბერს, მწერალთა კლუბში შესდგა შიო მღვიმელის გარდაცვალებიდან ხუთი წლის შესრულების გამო მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო. მოხსენება შიო მღვიმელის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე გააკეთა ამხ. ერ. ასტვაცატუროვმა. მომხსენებელი შეჩერდა პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების მნიშვნელოვან მომენტებზე. განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მან იმ დიდ როლს, რომელიც ითამაშა მღვიმელმა ქართული საბავშვო პოეზიის შექმნის საქმეში.

შიო მღვიმელიო—სთქვა მომხსენებელმა, —არის ქართული საბავშვო პოეზიის ფუძემდებელი. მას უსაზღვროდ უყვარდა ბავშვები და მთელი მისი სული და გული საბავშვო ნაწარმოებებში ტრიალებდა. შიოს მხატვრულმა პოტენციამ სრული გაფურჩქვნა და კლასიკური დასრულება საბავშვო პოეზიაში ჰპოვა. მან მოგვცა საბავშვო ლექსის ისეთი ნიმუშები, რომლებიც დიდხანს შეინარჩუნებენ თავიანთ ცხოველმყოფელ ძალას.

მოხსენების შემდეგ სიტყვებითა და პოეტისადმი მიძღვნილი ლექსებით გამოვიდნენ პ. კეშელავა, გ. კაჭახიძე, მ. ბარათაშვილი, რ. ქორქია.

პ. კეშელავა შეჩერდა პოეტზე, როგორც ჰუმანისტზე, გ. კაჭახიძემ და მ. ბარათაშვილმა თავიანთ სიტყვებში ხაზი გაუსვეს პოეტის იმ დიდ სიყვარულს ბავშვებისადმი, რომლითაც გამთბარია მთელი მისი პოეზია, და იმ ზღვა სიყვარულსა და პატივისცემას, რომელიც დაიმსახურა შიომ თავიდანვე ქართველ ბავშვებში. რ. ქორქია ვრცლად შეეხო იმას, თუ რა ადგილი უჭირავს ბუნებას შიოს შემოქმედებაში.

პოეტმა გ. ხეჩუაშვილმა და მოზარდ მაყურებელთა თეატრის მსახიობმა გოგუცა კუპრაშვილმა წაიკითხეს შიოს ლექსები. შიოს ლექსები წაიკითხეს აგრეთვე ცენტრალური საბავშვო ბიბლიოთეკის აქტიურმა მკითხველმა ბავშვებმა, მხატვრული კითხვის „ნორჩმა ოსტატებმა“ რ. თაბუკაშვილმა, მ. კალანდაძემ, ლ. ჩოჩიამ, ნ. კვალიშვილმა.

დასასრულ კომპოზიტორმა თ. შავერზაშვილმა როიალზე შეასრულა შ. მღვიმელის ლექსებზე დაწერილი რამდენიმე საკუთარი ნაწარმოები, იმღერა მ. მუღალაშვილმა.

ფ ა ც ხ ა*

შალვა დადიანი

ტაბაკი გაიწყო. მოლაგდა სანოვაგით, მხოლოდ კარგა მოზრდილი გობი დაიდგა სახლის „ნერჩზე“ კერასთან, ცეცხლის წინაშე და ზედ ორი ფართო, ორივე თავით წაწვეტიანებული დედო-პური, „ღვეზელი“ დასდვეს. ერთი იყო „ნერჩიშ უნჩაში“ სახლის უფროსის და მეორე დიასახლისისათვის განკუთვნილი. იქვე შემოაწყეს სხვა ღვეზელ-კვერები ოჯახის დანარჩენ წევრთათვის და აგრეთვე პირუტყვ-ფრინველთა სახეებისადმი მიმსგავსებული ნამცხვარები.

გოჯოგიამ სანთლები აანთო.

ყველამ იცოდა, რომ შობა დღეს საერთოდ „ოდუდიო ხვამა“ [1]) აქ უნდა ჩაეტარებინა ოჯახის უფროსს, მაგრამ გოჯოგიამ — „საარვიცოსაც“ ვილოცავ, ამ ლოცვის მიმატებით არაფერი დაშავდებაო, ჩაილაპარაკა და ამას მხოლოდ გუქიტია და მახარიკა მიუხვდნენ:

რადგან მურზას ბედისა გარკვევით არა იცის-რა, „საარვიცო“ უთუოდ იმიტომ უნდაო, და გუქიტიას უნებლიე ოხვრა აღმოხდა:

— ნანა! ნანა!

აზრში მურზა უტრიალებდა.

ყველამ დაიჭირა თითო ღერი ანთებული სანთელი და გობის ირგვლივ დაიჩოქა.

გოჯოგიამ თვალი მაღლა აღაპყრო და ნელის ხმით, მაგრამ გასაგონად დაიწყო:

„დუდო ღორონთი დიდებული და ნერჩიშ პატენი, ჟინი მიქამ-გარიო დიდებული, სინთელე დო ჯგირობუა გამნიოი ჩქიმ ოჯახიშა, კოჩიშო, ორონჯიშო, დინახალენი და გალენიში“ და სხვა [2]).

ამას რომ მორჩნენ, „საარვიცოს“ შეუდგა გოჯოგია. ყველანი ვანკრძალვით და მოწიწებით დაჩოქილები ისმენდნენ ოჯახის უფროსის ლოცვას; მხოლოდ ბავშვებს უციმციმებდათ თვალები, ანთებულ სანთლებს ხელით აწვალებდნენ და როგორც კი ერთი მეორეს შეხედავდნენ, მოურევნელის სიცილით ლოყები ებერებოდათ.

გოჯოგიამ დაასრულა ლოცვა, წამოდგა, სხვებიც წამოიშალნენ და სანთლები ჩააქრეს. ყველაზე წინ ბავშვებს მიუალერსა ოჯახის უფროსმა. თითო კვერეული ჩაუდვა ხელში, მიიყვანა ღორის თავთან და ორთავე ნორჩებს თითო ყური გადასცა.

ბავშვები იმ წამსვე გასხლტენ ფაცხის ერთ კუთხისაკენ და სიცილკისკისით თან მადიანად ილუკმებოდნენ და თან რაღაც უცნაურს ერთი მეორეს უამბობდნენ.

სხვებსაც მოუკითხა გოჯოგიამ მოსაკითხი, თვითონ კი აიღო პატარა „ჩალჯამი“, „მანერკიდან“ ღვინო გადმოასხა და დალოცვისათვის ისევ „საარვიცოს“ მიუბრუნდა:

„საარვიცო, სქანი სახელი ხვამელი, ღირსუანი ქოყიი ჩქიმი ხვამა, ქომუჩი სინთელე და ირნერი ჯგირობუა, მორძვიშე ქუდომრინე ჩქიმი ოჯახი“. [3]).

სწორედ ამ დროს ფაცხის კარმა ზრიალი მოიღო, თითქო რაღაც უზარმაზარი დაეჯახაო, და თვითონ ფაცხამაც საეჭვო ჭრიალი მორთო.

იმავ დროს მოისმა ხმამაღალი შეძახილი:

— გამოდი, მურზა, სად იმალები, შე კუბაქო! [4]).

გოჯოგიამ ხელუხლებელი ჩალჯამი ტაბაკზე დინჯად ჩამოდგა, კარებს ურდული მოხსნა და გააღო.

ვაღებისთანავე მკერდზე ცხენის თავი დაეტაკა.

კარები ვიწრო იყო, თორემ ეტყობოდა, მხედარს უნდოდა ფაცხაში შემოეგდო ცხენი.

გოჯოგიამ უკან დაიწია, თითქო უნდა მხედარი დაინახოსო, მაგრამ კარების სივიწროვისაგან თვალი ვერ ასწვდა მხედრის სახე-პირს.

მაინც მიმართა:

— ვინ ბრძანდები, ბატონო, ფაცხას რაზე მიმტვრევ? მურზა კი შინ არ გახლავთ.

— გამოდი, აქეთ გამოეთრიე, შე ძაღლის შვილო, და მიცნობ, ვინცა ვარ.

ამის მთქმელმა ცხენი უკან გასწია და გაჭედილი კარები უეცრად დაცალიერდა.

ფაცხაში მყოფი ყველა გაშეშებული იყო. ვერ გაეგოთ, რა მოხდა, ვინ იყო ეს მრისხანე სტუმარი, სად ეძებდა მურზას.

ერთ ბავშვს კი ღორის ყური პირში შერჩენოდა და ხელწავლებულს ვერ გაერკვია — უნდა შეეჭამა თუ პირიდან გამოეღო.

გოჯოგია გავიდა ეზოში და თუმცა ჯერ კიდევ ბნელოდა, თოვლის სინათლეზე მაინც კარგად გაარჩია, რომ მას რამდენიმე ცხენოსანი და რამდენიმე ქვეითი წვეოდა.

ცხენოსნები ნაბდებში იყვნენ გახვეულნი და თოვლით იყვნენ დავაძმულნი. ქვეითებს კი ფეხზედაც არ ეცვათ, არც სათბური რამ, უბრალო ხამის გრძელი პერანგი ებურათ და თავზე კიდევ ტომრის ნაგლეჯები ჰქონდათ ჩამოხურული.

— ვინ ბრძანდებით, ბატონო? რაზე გვირისხდებით ასე?

— ვითომ ვერ მიცანი, შე უკეთურო. ბეჩუნია ვარ, ჩვამაია, ჯოლორია დგებიას მოურავი...

— ჰო და, ბატონო, ასეთი დიდი კაცი ყოფილხარ... ასე გარეთ ყოფნა როგორ გეკადრება, მობრძანდი ფაცხაში... დღეს შობა დღეა, სტუმარი ღვთისაა... იქ მიბრძანე, რაც გნებავს...

— შენც შეგარცხვინა და შენი სტუმრობაც... შენ ის გირჩევნია, მითხრა, სად არის შენი აბრაგი შვილი?

გოჯოგია აღელდა, მაგრამ თავი შეიკავა.

— მე აბრაგი შვილი არა მყავს...

— ვის ატყუებ, შე მურდალო შენ... ეხლავე მურზა თუ არ მოგიცია, სულ დედა-ბუდიანათ წაგგვრი დგებიას სასახლეში...

— მე ტყუილი არ ვიცი...

— შენმა თავის გახეთქამ. გლეხი მაშ რის გლეხია, რომ ტყუილი არა თქვას!..

— ნუ იკადრებ, ბატონო...

— მურზა მეთქი, მურზა. შე უნიფხვო!.. და კიდევ ერთი საზარლად შეიგინა ჩვამაიამ. — გამოდი, რას მემალები, თორემ სულ ერთიანად გავანადგურებ შენს ოჯახს!..

ჩვამაიას გინებაზე მახარიკა გამოვარდა და ქალებიც და ბავშვებიც კარებთან მოიხურხლნენ.

— რას იგინები ვილაცა ხარ?! მურზა არ არის შინ, რათი უნდა დაგარწმუნოთ...

— ეს ვილა არის? — შესძახა ჩვამაიამ და იმ წამსვე ერთმა ცხენოსანმა აუწყა მახარიკას ვინაობა.

— აა, ესეც იმისთანა ველის წიწილი იქნება... გაბაწრეთ!

— როგორ თუ გამბაწრონ! ვის გაუგონია?

— თუ არ გაგიგონია და ეხლა გაიგე, რომ მურზაც და მთელი მისი ოჯახიც ლოლუებმა ჯოლორიას მიჰყიდეს.

— ავავაი! — დაიღრიალა გოჯოგიამ და მუხლთ მოეკვეთა. ცრემლივით გასწვა ტვინი იმ შეგნებამ, რომ მართლა დიდი უბედურება დასტეხოდა თავს.

სად ლოლუები და სად ჯოლორია დგებია.

ლოლუები, ნაკლებ შეძლებული აზნაურები, შედარებით ლმობიერები იყვნენ.

ჯოლორიას ხელში ჩავარდნა კი ეს გაუვალი მონობა იყო.

მახარიკამ იცოდა, რომ მურზა გაყიდული იყო, იცოდა, რომ ამისათვის იყო ეხლა მურზა აბრაგად გავარდნილი, მაგრამ თუ მთელი ოჯახიც და თვითონაც ამ ბედში იყო ჩავარდნილი, ეს კი არ იცოდა, და წახდა მახარიკა.

მასაც ერთის ვაელვებით თვალწინ წარმოუდგა მისთვის დამაკმაყოფილებელი თავისუფალი სამსახური ცხაკუნიასთან, მისი მომავალი, რომ ჭალადიდში მისი მფარველის წყალობით დუქანსაც გაალებდა. ეხლა კი ეს ყველაფერი ხელიდან მიუდიოდა და სამამაცო გუნება სულერთიან მოეშალა, მოდუნდა.

წაილუღლუღა:

— მე ვერ გამყიდიდენ, მე ცხაკუნიას ვაალავარ, მას ვემსახურები, ლოლუებისთვის არასოდეს არ მიმსახურნია...

— არ გიმსახურნია და ეხლა ემსახურები უკეთეს ბატონს... შეუკარით ხელები, რას უდგეხართ!

ქვეითები მისცვივდნენ მახარიკას. მახარიკამ ცოტა ვაიბრძოლა, ხანჯალზეც კი წაივლო ხელი, მაგრამ კუნთმაგარმა ოთხმა ვაჟკაცმა მაინც დაიმორჩილა.

ამის დანახვაზე გააფთრებული წყევლა-კრულვით გამოვარდა გუქიტია.

— არა, ამას არ დაგანებებთ. თქვე წყეულებო, ამას რას ერჩით, ეს არის ჩვენი მარჩენალი, ჩვენი დამტირებელი!

— ოჰო, ხედავთ ამ დედალ კრუხს! ჰაბაწრეთ ეგეც... არაფერია, ქალბატონს ბატების მწყემსად გამოადგება..

კივილ-წივილი არ შეუწყვეტია გაბაწრულ გუქიტიას.

დედის წივილზე ეხლა ბავშვები ასხრიალდნენ და დედის კალთას მიაშურეს.

ედუ ეცა ერთ-ერთ ქვეითს და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, სილა გაარტყა.

დაშავებული დარეტიანდა და წაბარბაცდა. ცხენოსნებმა ხარხარი მორთეს.

ედუ ყვიროდა. ხამის პერანგიანებს მიმართავდა:

—თქვე უბედურებო, თქვენ! განა თქვენ ვინა ხართ? თქვენც ჩვენისთანა გლეხები არა ხართ? თქვენც ჩვენს ტაფაში არ იწვებით? სინიდისისაგან ასე როგორ გაირეცხენით, რომ ჩვენზე ხელს იღებთ? ფუჰ, თქვენს ვაჟკაცობას! სულით და ხორცით დაგიმონესთ განა? ქალაჩუნები, მშიშარები!..

— ეს კარგი ხოხობია!—ერთმა ცხენოსანმა ჩაულაპარაკა ჩვამაიას და ედუზე ანიშნა.

— კარგი ხოხობია და, მე შენ გეტყვი, ჯოლორიას ეწყინება, პირის სანუგბაროდ რომ მივართმევ ასეთ ნობათს...

— ვერ მოესწრებით მაგას, ვერა! — ეხლა აყვირდა გუქიტია!— უჰ, თქვე წყეულებო, მოისპოს თქვენი სახსენებელი!

ედუმ გაბრაზების გამო კარგად ვერ გაიგონა ჩვამაიას სიტყვები, მაგრამ ისე კი იგრძნო, რომ რაღაც საშინელი, მისი დამამცირებელი რამ აღიმართა მის წინაშე, და სულთქმა შეეკრა, ხმა ვერ ამოიღო, ისე გაოგნდა.

ჩვამაიამ ანიშნა და მხლებლები ედუს მივარდნენ.

აი აქ კი წამოიმართა გოჯოგია.

მთელის სხეულით გაიშალა, შევარდა ფაცხაში და თვალის დახამხამებაზე ნაჯახ-მოღერებული მივარდა ჩვამაიას.

მოუქნია.

ჩვამაიამ მოასწრო, ცხენი გაიხტუნა და გოჯოგიას ნაჯახი და თვით გოჯოგია მძლავრი მოქნევისაგან განერთხო თოვლში.

— აა, მაშ შენ ჩემი მოკვლაც განიზრახე? ძალიან კარგი...

ელვის სისწრაფით ცხენს გადმოევლო და დაცემულ გოჯოგიას სეტყვასავით მათრახი დაუშინა.

გოჯოგია კვლავ წამოიმართა, ხელიდან გავარდნილ ნაჯახს დაუწყო ძებნა, აგერ წაავლო ხელი კიდეც, მაგრამ ამ დროს მეორე მხრიდან სხვა ცხენოსანმა შიგ ცხვირპირში მიარტყა მათრახი. შემოესივნენ ყოველის მხრით და თვალი აღარ გაახელინეს.

ამასობაში ედუ იბრძოდა გააფთრებით, იკაწრებოდა, იკბინებოდა, არ ნებდებოდა, მაგრამ ბოლოს ისიც დაიმორჩილეს.

კარგა ხანი გავიდა ამ უსწორო ბრძოლაში. ცისიერს ღამის ზეწარი ჩამოეხა და მურუქლ სინათლეში გამოჩნდა ეზოში დაყრილი, გათოკილი ფაჩულიათა ოჯახი. მათგან მოისმოდა მხოლოდ კბილთა ღრჭენა, ყრუ ზმუილი და ზოგჯერ საშინელი ხმამაღალი წყევლა-კრულვა გუქიტიასი.

ბავშვები კვლავ სხმარტალებდნენ. ერთს კიდევ ხელში შერჩენოდა შეკბეჩილი ღორის ყური.

ამის დანახვაზე ჩვამაიამ გადიხარხარა:

— მართლა, დღეს ხომ შობა არის, ხაციცი ჩვენც მოგვიხდება. ჩამოსხედით, ყმაწვილებო!

გაიწვია ცხენოსნები. ქვეითებს კი უბრძანა, რომ დატყვევებულებს დარაჯად დასდგომოდნენ.

მზემ უკვე ამოწვერა, როდესაც [illegible] და შეზარხოშებულებიც სუფრიდან წამოდგნენ ჩვამაია და მისთანანი.

— აბა, ეხლა გავიტანოთ ბარგი-ბარხანა, გვადა, ფარნო! ეხლა ტყვეებს დარაჯათ თქვენ დაადექით, ბიჭები კი ამეებს წაიღებენ!

ყველა დამორჩილდა.

ერთ წუთს ფაცხაში აღარა იყო რა.

— ეხლა კი მოთხარეთ ფაცხა!— კვლავ გაისმა ბრძანება ჩვამაიასი.

ეს ყველას გაუკვირდა, მაგრამ სიტყვის შებრუნება ვერავინ გაუბედა.

გვადა და ფარნა კი ერთიმეორეს ეჩურჩულებოდნენ:

— რაღაც მართლა ძალიან უწყენინებია იმ მურზას ბეჩუნასთვის, რომ ასე ექცევა.

— მაშ, არ იცი? ჯოლორიამ რომ მურზა იყიდა, მურზა ხომ მაშინვე გაიქცა. ჯოლორიამ კი მაგას დაავალა, საცა არ უნდა იყოს, მურზა იპოვნე, გაბაწრე და მომგვარეო. ეგეც გამოუდგა, მაგრამ ვერსად მიაკვლია.

— ეგ ვიცი.

— ეგ არაფერი. ჩვამაიას იმავე ხანებში ანაკლიაში ტყვეები მიჰყავდა გასასყიდად. შიგ ქალებიც ერია. მურზა დაუხვდა გზაში მარტოდ-მარტო, ტყვეები წაართვა და გაუქცია. შემდეგ მობრუნდა, დაეწია შინ ჩვამაიას და იმდენი ცემა თურმე შეიარაღებულს, რომ რაღა გითხრა. გათოკა თურმე და ამბობენ თავზეაც ქალის ნიფხავი ჩამოაცვა და ეგრე დასტოვა იმ უსიერ ტყეშიო... როგორ გგონია, ეხლა ამას შეარჩენდა?

აქ გვადამ შეაწყვეტინა მოსაუბრეს:

— შეხე, შეხე! ძალიან იძგერენ ის ბიჭები, მაგრამ ხედავ, რომ ფაცხას ვერ ერევიან. სახურავიც კი ვერ გადაუგდეს. ცეცხლი წაუკიდეთ და ის იქნება!

— არა, უნდა წამოვაქციოთ, ეს მინდა მე!—დაიღრიალა ჩვამაიამ.

მოიტანეს დიდი ბაგირები, მიასკვნეს ერთი მეორეს და გარშემოახვიეს ფაცხას სამმაგათ.

მოსწია რვა კაცმა.

ფაცხის კედლებმა საეჭვო ჭრაჭუნი მორთეს, მაგრამ არ დანებდნენ.

— როგორ ჩაწნულები არიან ერთი მეორეში,—ჩუმად წაულაპარაკა ერთმა ბიჭმა მეორეს,—როგორ გაერთიანებულები.

— ჰოო, ერთი პირია საქმე, განა არ იცი? მართალი გვითხრა იმ გოგომ—ჩვენ ამ საქმეს უნდა ვეწეოდეთ?.. ჰმ, აი აქაც... თვითონ გამოძღნენ, გამოსისინდნენ და ჩვენ კი ძაღლივით რაღაც ერთი ლუკმა მოგვიგდეს...

— წავიდეს მაგათი რჯული!

— ჩშ... ჩუმად!

— რას შედექით, ბიჭებო! მაგრად მოსწიეთ, მაგრად!

მოსწიეს.

თითქო შეირყა ფაცხა, მაგრამ არ დაირღვა.

გაცეცხლდა ჩვამაია.

დაიხმარა ცხენოსნებიც და... გადავარდა ისლიანი სახურავი.

მოსწიეს კიდევ... ჩაიმხვლა ფაცხა.

ამის დანახვაზე უცნაურად, ქმაჭვნით წამოიწია გუქიტიამ და საზარლად შეჰყვირა:

— ვაი ჩვამაიას ოჯახს! ვაი ჯოლორია დგებიას! ჩვენ მოგვთხარეთ, მაგრამ მალე მოგეთხრებათ თქვენც თვალი... ჩემი მურზა კარგად იყოს, ის და მისთანები გადაგიხდით თქვენ სამაგიეროს!

გოჯოგიაც შეჰყურებდა ამ სურათს, მაგრამ თვალის გამომეტყველება თითქო შიგნით ჰქონდა შებრუნებული, გარემოში თითქო ველარაფერს ველარ ხედავდა.

მახარიკა თავდამხობილი ეგდო თოვლში და არ უნდოდა არაფრის არც გაგონება, არც დანახვა.

მხოლოდ ედუ იყო გაგლისპებული და თვალებგაფართოებული შეჰყურებდა ოჯახის დამხობას. აღარას ამბობდა, არც ზმუოდა, მხოლოდ ეტყობოდა უდიდეს სიძულვილს იგროვებდა გულში დამჩაგვრელთადმი, ზღვავდებოდა მის არსებაში შურისგების მაღალი ცეცხლი.

თოკით გაათრიეს განზე ჩამხვლეული ფაცხა.

ჩვამაიამ მოსძებნა სადღაც ბარი, მივიდა კერასთან და თავის ხელით ამოთხარა ლადარიანი ფუძე ოჯახისა და მისი ფერფლი ოთხივ კუთხივ გააბნია, თან ხმამაღლა დასძახა:

— მაშ, რა ეგონა იმ გაცვეთილს, ჩემს შეურაცყოფას შევარჩენდი? ტყვეები რომ წამართვა და გამიფანტა, ამას დავივიწყებდი? ეხლა წავიდეს და სადაც თავისი თქვას თქვენმა თავლაფიანმა მურზამ, ჩემიც არ დაივიწყოს...

სამაგიეროდ კი მოისმოდა გუქიტიას საზარელი ხმა:

— ვაი, ჩვამაიას ოჯახს! ვაი ჯოლორია დგებიას!.

განზე გატანილს და მიგლეჯ-მოგლეჯილ ფაცხას ცეცხლი წაუკიდეს და როდესაც კარგა აპრიალდა, მხოლოდ მაშინ ბრძანა ჩვამაიამ, რომ გზას გასდგომოდნენ.

ცემა-ტყეპით წინ გაიგდეს ბავშვები და ტყვეები, მათი ბარგი-ბარხანა კი მხრებით მიჰქონდათ ქვეითებს.

ცხენოსნები უკან მიჰყვებოდნენ. და ქვალონიდან კვიწიამდე გაისმოდა ყრუ ზმუილი მახარიკა და გოჯოგიასი, სხმარტალი ბავშვებისა და ვაება გუქიტიასი:

— ვაი ჩვამაიას ოჯახს! ვაი ჯოლორია დგებიას!

ორი დღის სავალზე მთელს გლეხობას მოედო ფაჩულიების მოთხრის ამბავი.

---

*) თავი რომანიდან „ურდუმი“

[1]) მთავარი ლოცვა

[2]) უპირველესად, ღმერთო დიდებულო და ფუძის ბატონო, უზენაესო მიქელ-გაბრიელ დიდებულო. სიმართლე და სიკეთე შემოიტანე ჩემს ოჯახში კაცისათვის, საქონლისათვის, შინაურისა და გარეულისათვის.

[3]) „საარვიცო, შე სახელ-დალოცვილო ღირსეყავ ვედრება ჩემი, მომეც სიმართლე და ყოველგვარი სიკეთე, გამარჯვებულ ჰქმენ ოჯახი ჩემი“.

[4]) კუბაქი სალანძღავი სიტყვაა, ვითომდა მეტად მდაბალი ხარისხის გლეხი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენიმე ლექსი

გიორგი ლეონიძე

თუშის ქალს ალავერდობაში

ერთიც დაჰკივლე თუშურად, ქარს შეუერთდი ქარშივე,
ფრთაგატყორცნილი არწივი ფრენაში გაიკავშირე!

პირანთებული ჰშვენოდი გადაქნეული ხმალივით,
შავთმაჩაშლილი ქალწული მოჰქროდი ქარიშხალივით

ქვაბების ნაორთქლარ ნისლში ღრეობდა თუშთა ყრილობა,
ქუსლამოკრული ქურანი მიჰქროდა ნიავქარული,
შენი მხედრობა მიყვარდა და შენი თავდახრილობა,
შენი მოხედვა, ხოხობო და სიკისკასე ქალური!

ხვალ ყველა დაგაშაირებს,—ალვანს, ბახტრიონს, თიანეთს-
ერთმუხლად გამოშვებული ცხენი რომ გააფრთიანე!
და თითქოს მოსწყდი მიწიდან, ჰქროდი ხმელეთის გარესა.
სიგძე და განი სად იყო, სულ იქროლებდი ზღვათამდე;

გინდოდა ცხენის ქროლაში გასწრება ნიავქარისა,
ვარსკვლავიანი ღრუბლები თითქოს შენს სახეს ჰხატავდენ...,
შორს შავარდენი მოგდევდა, შენი გმირობის მაყარი,
შენი კბილივით ელავდენ მთები რთვილგადანაყარი!

ვისკენ მიჰქროდი, საითკენ? სივრცეში შეუხედარი,
ვის მისძახოდა შენი ხმა, ვინ იყო შენი მხედარი?

შენს სიყრმის დილას მისდევდი, შენს ტურფა ყმაწვილქალობას,
შენს დაშუქებულ მომავალს, ხვედრით რო დაიმსახურე
და ხმოვანებით ციური, ვით იდუმალი გალობა,
ჯირითის ქარში მესმოდა, ყლეროდა შენი საყურე!

ჩემს სიჭაბუკეს მიჰგავდი, ჩემს აღტაცებულ ოცნებას,
ჩემს ღელვას ჰგვანდა გაქროლვა და შენი დაცხენოსნება!
გავა დრო, როდის შემხვდება კიდევ მე შენი ყურება?
საგაზაფხულო წვიმები მწვერვალებს დაეწურება!

სხვა იჯირითებს, სხვა იმღერს ჩვენს მზეში ნაზიარები,
მაგრამ დარეკავს მთებიდან მიმინოს ოქროს ზარები!..

1934 წ.

ნინო ჭავჭავაძეს

თუ გადამქრალი შენ ხარ ვარსკვლავი,
ახლაც მინათებს შენი მშვენება...
შენგან შევიტყე, რომ სილამაზეს
არ უწერია გადაშენება!

შენც ცოცხალი ხარ, შენი მგოსნებიც
და გაერთულება მათი გულისა,
თავშესაფარი რამდენ ოცნების,
იყავ ბანაკი გაზაფხულისა!

შენს სილამაზის იქით ბნელდება,
დაიხურება ცისკრის კარედი:
შენ მოგაყარეს მიწა ბელტებად
მკერდზე რომ ვარდსაც ძლივს იკარებდი!

ასი წლის შემდეგ მე შენ გიგალობ,
ათას წელს გასძლებს შენი მშვენება;
შენ,—სილამაზის ნაზო გრიგალო,
შენგან აროდეს მომესვენება!

1928 წ.

მაისური

მიყვარს, ყანაში როცა მიდიხარ,
მიყვარს ვენახში თუთის დარხევა;
როცა გაისმის ქართლში გვრიტის ხმა
და გაზაფხული გაიჩარხება!

მიყვარს მთებიდან ნათქრიალები
ბარში ნიაღვრის ღვართა გალობა;
როცა სიმღერით ხეებს ქალები
შეეჰვევიან ახალბალობას...

მიყვარს მშუქარი ვაზის ყვავილი,
ხეს რო ფოთოლი დაეწმინდება,
როცა ოცნებით ყანას გავივლი,
ყანის სიწმინდე რო მომინდება.

შემოგანათებს კვლავ სიხარული,
დაუღალავი მისი მშვენება
და ლურჯი ზეცა, მტრედისმხარული,
გულზე ნათელით დაგესვენება!

1928 წ.

შალვა დადიანის სამწერლო მოღვაწეობის 45 წლის იუბილე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, მწერალს და დრამატურგს ამხ. შალვა დადიანს შეუსრულდა სამწერლო მოღვაწეობის 45 წელი. გადაწყვეტილია იანვრის ბოლო რიცხვებში მწერალს გაემართოს იუბილე.

გამოყოფილია საიუბილეო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: გ. კიკნაძე (თავმჯდომარე), ა. მაშაშვილი, ნ. ჩარკვიანი, პროფ. კ. კეკელიძე, ლ. ქიაჩელი, ს. ჩიქოვანი, ი. მოსაშვილი, ს. შანშიაშვილი, შ. რადიანი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. ვასაძე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. ხორავა, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ნუცა ჩხეიძე, მ. ჭიაურელი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი შ. ღამბაშიძე, დ. გულია, ა. მირცხულავა, სახალხო მოქანდაკე ი. ნიკოლაძე, ბ. გოგუა, ვ. გრიგორიანი, ვ. ხატიაშვილი და გ. ქიქოძე.

კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის 10 წლისთავი

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების, ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის განუხრელი გატარებისა და ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის დამყარების შედეგად აყვავდა შინაარსით სოციალისტური და ფორმით ნაციონალური კულტურა.

მთავრობისა და პარტიის შეუნელებელი მზრუნველობისა და ყურადღების შედეგად საბჭოთა საქართველოში აღიზარდნენ სასცენო ხელოვნების მნიშვნელოვანი კადრები, რამაც უზრუნველჰყო 1928 წელს მეორე სახელმწიფო ქართული დრამის თეატრის შექმნა ქუთაისში კ. მარჯანიშვილის სამხატვრო ხელმძღვანელობით.

1930 წელს მოსკოვსა, ხარკოვსა და ტფილისში წარმატებით ჩატარებული გასტროლების შემდეგ, მთავრობის დადგენილებით, თეატრი სამუშაოდ გადმოვიდა ტფილისში.

განსაკუთრებულ შემოქმედებითს წარმატებას თეატრმა მიაღწია უკანასკნელი 6-7 წლის განმავლობაში, როდესაც ქართველი ხალხის სახელოვანი შვილის ამხანაგ **ლ. პ. ბერიას** ხელმძღვანელობით გატარებულ იქნა უაღრესად მნიშვნელოვანი ღონისძიებანი ხელოვნების შემდგომ წარმატებათა უზრუნველსაყოფად.

თეატრმა თავისი არსებობის 10 წლის მანძილზე სულ დასდგა 48 პიესა, აქედან 32 თანამედროვე-ისტორიულ თემაზე (ქართველი ავტორებისა—18, მოძმე რესპუბლიკათა ავტორებისა—13, ხოლო დასავლეთ ევროპის თანამედროვე ავტორებისა—3) და 13 პიესა კლასიკური რეპერტუარიდან (აქედან ქართველ კლასიკოსთა ნაწარმოებთაგან—5).

გარდა ტფილისისა, თეატრი ყოველწლიური გასტროლებით მომსახურებას უწევს ავტონომიურ რესპუბლიკებსა და რაიონებს (ქუთაისს, ბათომს, სოხუმს, ხაშურს, მახარაძეს, ზუგდიდს). სულ თეატრმა დადგა 2000-მდე სპექტაკლი.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველო 1939 წლის 15 იანვარს აღნიშნავს მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის შემოქმედებითი მუშაობის 10 წლისთავს. ამ მიზნით შექმნილ იქნა საიუბილეო კომიტეტი

ათი წლისთავის აღსანიშნავად ამხ. ბ. გოგუასა და შ. ღამბაშიძის რედაქტორობით გამოდის კრებული მარჯანიშვილის თეატრის შემოქმედებითი მუშაობის შესახებ. კრებულში მოთავსებული იქნება შემდეგი მასალა: ბ. გოგუა — „ქართული საბჭოთა თეატრალური კულტურის აყვავება", შ. ღამბაშიძე — „მარჯანიშვილის სახ. თეატრის 10 წლისთავი", დ. ჯანელიძე — „კოტე მარჯანიშვილი", ბ. ჟღენტი — „დრამატურგია მარჯანიშვილის თეატრში", დ. ჯანელიძე—„აქტიორული და რეჟისორული შემოქმედება", დ. კაკაბაძე—„მხატვარი მარჯანიშვილის თეატრში", თ. ვახვახიშვილი—„მუსიკა მარჯანიშვილის თეატრში", ე. ყუშიტაშვილი—„სათეატრო სასწავლებელი" და მწერლების შ. დადიანის, კ. კალაძის, დ. შენგელაიას, პ. კაკაბაძის, ი. ვაკელის, ს. ჩიქოვანის, ლ. ასათიანის, ი. გრიშაშვილის, მხატვრების ლ. გუდიაშვილის, თ. აბაკელიას, ე. ახვლედიანის და სცენის შემოქმედ მუშაკთა წერილები.

კრებულში მოთავსებული იქნება აგრეთვე საინტერესო მასალა რეჟ. მარჯანიშვილის სპექტაკლებზე მუშაობის შესახებ, ცნობილი კრიტიკოსების წერილები და რეცენზიები თეატრის დადგმებზე და სხვ.

15 იანვრისათვის თეატრი აწყობს გამოფენას, რომელიც ასახავს მარჯანიშვილის თეატრის შემოქმედებით მუშაობას 10 წლის მანძილზე.

მხატვრული მომსახურების გაწევა მოსწავლე ახალგაზრდობისათვის

„ლიტერატურულ საქართველოს" წინა ნომერში გამოვაქვეყნეთ საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის წერილი არდადეგებზე მოსწავლე ახალგაზრდობისათვის მხატვრული მომსახურების გაწევის შესახებ.

მწერალთა კავშირმა გამოჰყო რამდენიმე ბრიგადა, რომელნიც საქართველოს სხვადასხვა რაიონში მოსწავლეთათვის გამართავენ ლიტერატურულ საღამოებს, ჩაატარებენ მოხსენებებს ლიტერატურის სხვადასხვა საკითხებზე.

4 იანვარს აჭარაში გაემგზავრა მწერალთა ბრიგადა, რომელშიაც შედიან შალვა დადიანი, ალიო მაშაშვილი, კარლო კალაძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ი. მოსაშვილი, ს. ჩიქოვანი, სანდრო შანშიაშვილი და ალ. ჰეიშვილი. ბრიგადა აჭარაში დაჰყოფს ხუთ დღეს.

მეორე ბრიგადაში, რომელიც მომსახურებას გაუწევს გორსა და ხაშურს შედიან ი. გრიშაშვილი, გ. ქუჩიშვილი, რ. გვეტაძე, ა. ქუთათელი, მარიჯანი, გ. კეჭახიძე, ა. გომიაშვილი და ე. ასტვაცატუროვი.

მესამე ბრიგადა მიემგზავრება თელავში, წურჯაანში და სიღნაღში. ამ ბრიგადაში შედიან: ი. ლისაშვილი, კ. ნადირაძე და გრ. აბაშიძე.

ფიქრი მტკვრის პირად

სიმონ ჩიქოვანი

მესხეთელი მწყემსი

ჩვენ გავიარეთ მინდვრები ქერის,
მთაზე მიდგმული მწვანე სოფელი
და ცხვრის ფარები, ქარვების ფერი,
რუხ ფერდობების შემამკობელი.
მწუხრში ბილიკი, მთებზე მიკრული,
როგორც სანთელი დნებოდა მაშინ.
და ნაცრისფერი დღე მიწურული
სხივთა კანკალით კვდებოდა მთაში.
თმოგვთან შემოგვხვდა ვაჟი ფხიზელი,
ხელში ეჭირა ცხენის ლაგამი,
ძაღლი, მეგზური ახლდა ფიცხელი,
მგლის სადარი და მუხლებ-მაგარი.
მე ჭაბუკს ვკითხე: ხარ სადაური,
ველარ გვაჩვენებ ბილიკს ვარძიის?
თმოგვიც დაგვცქეროდა, ვით უცნაურს
ცად აფრენილი ძველი არწივი.
მე ხომ მესხი ვარ,—გვითხრა ამაყად, —
კოლმეურნე ვარ, მწყემსი ქაცვია.
შინ შემობრძანდით, დარჩით ამაღამ,
დილით გაჩვენებთ უცხო ვარძიას.
მერე მოგვითხრობ წარსული თმოგვის;
ძველი თქმულებით სიტყვა ქართული
მოქარგა, ციხეს უცქეროდა ტრფობით,
ათაბაგების ამბით გართული.
მან გაიხსენა მესხი მელექსეც,
ბელადს უყვარსო თურმე ძალიან.
გაიღიმა და წყალი ალერსით
მტკვარს მოსტაცებ და ჰეშვით ტალღას
ფიცხლად აანთო ბილიკი მთაზე,
და გვიწინამძღვრა ვარძიის გზაზე.
მწყემსო, შენა [illegible], რომ [illegible]
ბელადს უყვარსო და როს იგონებ,
თქვენში ირხევა პურის თაველი
და ემსგავსება ცოცხალ სტრიქონებს.
ვინმე მელექსე მესხეთმა შობა
და გაამაყებს შაირის მთქმელი,
მძლე წინაპრების ქვის ოსტატობა
და ბუნებასთან კავშირი ძველი.
მაგრამ ყანაში, სოფლის მწვანეში,
ცხვრის ფარაში და გაშლილ წვიმაშიც,
ვარძიის ქვებზე დახრილ ღამეში,
ცაზე მიბჯენილ კლდეთა წინაშე,
შენ გზას გიკაფავს თვალი ბელადის,
თვალი, რომელიც ხიბლავს სტრიქონებს;

მთებში დარჩენილს გათენებამდი
ბევრი ვარსკვლავი გადაგიქროლებს,
მათში აარჩევ კრემლის მნათობებს;

მშვიდად შედიხარ შემდეგ ფარაში,
ციხის კედელზე ფიქრებს დასტოვებ
და შაირივით ღამეს გადაშლი.
ეძებ რუსთველის დიად სამარეს,
გინდა შეეხო გარდასულ მამებს.
ვარსკვლავს ბელადთან სალამს აბარებ
და გადიკითხავ მთვარიან ღამეს.

ტფილისის ღამე

ვბრუნდები შინ და უკვე შუაღამე
ფეხაკრეფილი ჩრდილებით მიდის.
ღრუბელნი ზეცას გადალახავენ
და მდუმარება იშლება მშვიდი.
მივეშურები მძინარ ბინაში, —
დავხედო ლექსის დარჩენილ ნახევს;
ღამის გუშაგი შემხვდება მაშინ
და იქვე მწოლი ფინია დაჰყეფს.
წამსვე სწორდება გუშაგი წელში,
ეხლა რა დროა? — მკითხავს და მღერის:
როგორ ჩაეშვა მზე სარეცელში
და დაუკარგა ბუნებას ფერი.
ჯოხის წკარუნით გადივლის ქუჩას
და მოსახვევში შეხვდება ქარი.
მტკვარიც ღამეში ელვარებს ლურჯად,
ელვარებს, ღელავს და მიიჩქარის.
გუშაგიც ფიქრობს სოფლის საფიქრალს,
როგორ იზრდება ტფილისი დღისით.
მალე სიძველე გულდს აიკრავს
და არ დარჩება ხსენება მისი.
საკვირველია ქალაქის ბედი,
ჯანსაღ ბავშვივით მაღლდება მუქი,
ნისლით ნაფერი ღამეში შედის,
რომ დააფრქვიოს სანთლების შუქი.
გუშაგო, ღამე თვალებში გიზის,
გესმის გვიანი მგზავრის რონინი,
გიყვარს ალვა და შვიარი მისი,
მტკვარზე დამდგარი ნიამორივით.
მოგწონს ქალაქში დარგული ნაძვი,
მამლის ყივილიც გადმოაქვს ქარებს;
შენ შემოდგომის ფოთლები გაწვიმს
და მოგზაურობს თვალებში მთვარე.
მარად ღიღინებს უცხო კილოთი,
იცნობ ფანჯრიდან მაცქერალ მდგმურებს.
აღტაცებული სანაპიროთი,
ძველ ნაცნობივით ზეცას გაჰყურებ.
როგორც მეცხვარის თვალი ფარაში,
ამ სახლებშია ჩვენი თვალები;
ვიღაცა ღელავს იმ ფანჯარაში
და მგზავრი მიდის ნაგვიანები.
ჩემი ლექსებიც გარბიან ქარში
და სახლებიდან ელით ალერსი;
ბოლნისის ქვების მუდმივ ღელვაში
ელავს ტფილისი ულამაზესი.
მთვარე ქანაობს ნათელ ღამეში
და მიდამონი სდუმან მთიანი.
ტალღას ფიქრივით შეათამაშებს
ჩემი მდინარე ოქროს ფრთიანი.
მომაგონდება მე ფიროსმანი
და მეეზოვე მოხუცებული:
წინსაფრიანი, ჰალაროსანი
და ღრუბელივით გაოცებული.
მეც შევჩერდები მაშინ ნაპირზე,
ოთახში შესვლას შევაგვიანებ
და ტკბილი სიტყვით, როგორც გაფიზი,
ტფილისის ღამეს ავახმიანებ.

მტკვარი

მეუბნებიან: მტკვარი და მტკვარი,
როგორ იქნება მარად იძახო!
გვითხარ სიმღერა ახლა სხვაგვარი,
რომ სხვა მდინარე გამოისახოს.
ფიქრები მტკვართან საკმარისია,
ან ნაპირებთან შენი გალობა.
თებერვალია თუ მაისია —
გვეჭირია მგოსნის მუსიკალობა.
მეც მტკვარს დავტოვებ და მთაწმინდაზე
ავალ, დავხედო გაწოლილ ტფილისს;
გულში შემოდის ზეცის სინაზე
და ჟრუანტელი სხეულში მივლის.
მაგრამ დავხედავ ქალაქის მორევს,
წამსვე თვალებში მეცემა მტკვარი.
მტკვარს ტფილისიდან ვერ განაშორებს
სტრიქონის ქარი და ნიაღვარი;
როგორც ცას ამკობს ნახტომი ირმის,
ისე ამშვენებს მტკვარი მიდამოს.
ელვარებსა და ხმაურით მირბის,
რომ შუქი ხალხში შემოიტანოს.

ლ ე ქ ს ე ბ ი

ვიქტორ გაბესკირია

შემოდგომის საღამო

მალე ჩამავალ მზესაც ჩაუვლის
აფრა, რომელიც ქარს გაჰყოლია;
ათეთრებს სივრცეს მომღლელი ჭავლი
და დაფარფატებს ზღვას მეთოლია.
ჩნდებიან ზღვაზე მკრთალი ლანდები,
ველს მოდებია გრილი ნიავი.
მარტოთ მიბმული, ეწლმ ჩამდენი
ქანაობს ნავი!
ნაპირზე სახლებს—სიჩუმის ტყვეებს
ქარი ზღვის ქვიშას და ფოთლებს აყრის;
მზეც ჩადის მშვიდათ, შემოდგომის დღე
დამსგავსებია იალქანს დახრილს.

ტბის შრინველი

მაღული ცქერით როს მოიღალა,
მისივე ჩრდილი გამოყვა გვერდით.
დაშორდა წყალში ამოსულ ბალახს
და ტბის თეთრ ყვავილს შეეხო მკერდით.
მაგრამ თოფის ხმა უცებ გაისმის,
ნაპირთან ბოლი მოჰყვება ძახილს...
თეთრ ყვავილს ტბისას აჩნია სისხლი
და ტბაზე მშვიდათ მოსცურავს ძალლი.

საღამოვდება

ჩაქრა სინათლე, ცივდება სილა,
ზღვაზე ღრუბლების ჩრდილი გროვდება,
მაგრამ უეცრად მე სხივმოსილი
ცხოვრება ჩვენი მომაგონდება.
გამეხარდება და მინდა დიდხანს
აქ ვიდგე ზღვასთან და ვისვენებდე,—
მოვიდეს წვიმა და ისე ვით ხეს
მეც მასველებდეს.

მწერლის ტრიბუნა

მწერალი და სინამდვილე

დემნა შენგელაია

ქართული პროზა ისევე, როგორც პოეზია, ხანგრძლივი ტრადიციების მატარებელია, რაც დიდ ვალდებულებას აკისრებს საბჭოთა მწერლობას, ვალდებულებას — იყოს ისევე მაღალხარისხოვანი, იდეური და ცხოველმყოფელი, როგორსაც იგი მუდამ წარმოადგენდა. იგი ყოველთვის ფხიზლად ეხმაურებოდა ყველა საზოგადოებრივ ძვრას, რომელსაც ადგილი ჰქონია ჩვენს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. ამიტომ გასაგებია და კანონიერიც მოთხოვნა საბჭოთა საზოგადოებრიობისა, რომ მისი თანადროული მწერლობა ასახავდეს იმ ბრწყინვალე და ბედნიერ სინამდვილეს, რომელიც მოგვანიჭა ოქტომბრის დიდმა რევოლუციამ.

ეს სინამდვილე არის ის იდეალი, რომელზედაც ოცნებობდნენ ჩვენი საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენლები და მათთან ერთად ჩვენი მწერლობის წარმომადგენლებიც. იგი სულ ახალსა და საპატიო ამოცანებს უსახავს ჩვენს საბჭოთა პროზასაც.

განა ჩვენი კოლმეურნეობები, ფაბრიკა - ქარხნები, ლაბორატორიები და სამეცნიერო დაწესებულებები არ წარმოადგენენ საგანს ჩვენი დიდი ინტერესისა? დასასრულ, რაც მთავარია, ჩვენი საბჭოთა ადამიანი, ადამიანი ახალი და მაღალი, იდეური, გმირული და სამშობლოსათვის თავდადებული, არ არის წარმტაცი თემა ჩვენი საბჭოთა ლიტერატურისათვის? განა სამოქალაქო ომის ვაჟკაცური ეპიზოდები, ლენინ-სტალინის პარტიის ისტორიის გმირული ფურცლები აღფრთოვანებას არ იწვევენ ჩვენში?

ასეთი ხალხი, ასეთი ეპიზოდები და კოლიზიები არ იცის არც ერთმა ეპოქის ლიტერატურამ, — ამაში მდგომარეობს სიახლე ჩვენი მწერლური შემოქმედებისა.

როცა ლევ ტოლსტოი სწერდა თავის გრანდიოზულ ეპოპეას „ომსა და მშვიდობიანობას", მისთვის, გარდა ისტორიული სიტუაციებისა, ყველაფერი თანამედროვე იყო, — სახელმწიფოებრივი სისტემა, ყოფა, და არც 1805 წლის ადამიანები განსხვავდებოდნენ არსებითად მისი ნაცნობ-მეგობრებისაგან. ამიტომ იყვნენ რეალურნი მისი ისტორიული პერსონაჟები, რომელთაც იგი თავის ახლო ნათესავებიდან იწერდა. ამგვარად, მისთვის ისტორიული რომანი არ იყო ისტორიული, თუ ზოგიერთ აქსესუარებსა და რეალიებს არ მივიღებთ მხედველობაში.

ახლა? ახლა შეუძლებელია ჩვენი ჩაის მკრეფავი ქალის სულიერი სამყარო იყოს მსგავსი ოთარაანთ ქვრივის სულიერ სამყაროსი. მაშ რად გვიტაცებენ ეს სახეები დღესაც? რად არიან ჰომიროსი, სოფოკლე, რუსთაველი, შექსპირი, ფლობერი ჩვენი მარადი თანამგზავრნი? მათ თავიანთი თემები აჰყავდათ ფილოსოფიურ სიმაღლემდე. ტიპებს აზოგადებდნენ და ამასთან ეს ტიპები იყვნენ ძალზე კონკრეტულნი, დამაჯერებელნი და რეალისტურ სამოსელში გახვეულნი. ისინი ამომწურავად იცნობდნენ თავიანთ სინამდვილეს, იდგნენ თავიანთი ეპოქის აზროვნების სიმაღლეზე. ამ მხრივ ჩვენი ინტერესი მათდამი უშრეტია, ამოუწურავი და მათგან ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ, თუ გვინდა, რომ ჩვენი თანადროულობა სწორად ავსახოთ, თუ გვინდა ვიყვნეთ ნამდვილი სოციალისტური რეალისტები.

პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ ამ მხრივ, მიუხედავად ჩვენი პროზის დიდი მიღწევებისა, ბევრი რამ გვაკლია. ჩვენ ხშირად ვტყუვდებით ტირაჟით და გვგონია, რომ იგი ჩვენი ღირსებიდან გამომდინარეობს, მაშინ, როცა იგი მასალის ინტერესიდან მოდის. თუ გავითვალისწინებთ, რომ ახალმა ცხოვრებამ მილიონები აამოძრავა, ყველა წიგნს დაეწაფა და რესპუბლიკაში თითქმის აღარა გვყავს წერა-კითხვის უცოდინარი, ეს ტირაჟები გასაგები ხდება.

ჩვენი მწერლობა განსაკუთრებით ხელსაყრელსა და ამასთანავე საპასუხისმგებლო ამოცანების წინაშე იმყოფება, რადგან ჩვენი სინამდვილე, ახალი ცხოვრება მთელი თავისი სიდიადით შემოდის მწერლობაში და მის წინაშე შემოქმედებითს მოთხოვნილებად იმართება. ეს ძალზე დამაფიქრებელი მოვლენაა, დამაფიქრებელი იმიტომ, რომ დისტანცია სინამდვილესა და მწერალს შორის აღარ არსებობს. შემოქმედს დიდი დაძაბულობა სჭირდება, რომ ამ მრავალფეროვანებაში შეარჩიოს ის მთავარი და ნიშანდობლივი, რომელიც ეპოქის დამახასიათებელ მომენტებს შეიცავს. იგი შეიარაღებული უნდა იყოს მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებით ისე სრულად, რომ ნამდვილად გაერკვეს არამცთუ დღევანდელობაში, არამედ „იწინასწარმეტყველოს" ხვალინდელი დღეც, რადგან მხატვრული ლიტერატურა მუდამ ხვალისაა და ეს ხვალე დღევანდელობაშია მოცემული. მაშინ არ მოხდება ისეთი კურიოზები, როგორიც დამემართა პირადად მე, როგორც მწერალს, და აგრეთვე სხვებსაც. მე ვწერდი რომანს „სტელას", სადაც მინდოდა ამესახა დამკვრელი მუშის ცხოვრება, მაგრამ წერა დასრულებული არა მქონდა, რომ დამკვრელობის პრინციპი უფრო ამაღლდა და გამოჩნდა სტახანოვი. სტახანოვმა დაარღვია არა მარტო საწარმოო ნორმები, არამედ ლიტერატურული ნორმებიც. მან გვასწავლა, რომ არ შეიძლება ცხოვრებასთან მისვლა პრიმიტიულად, ცხოვრება მეტად რთული მოვლენაა, საჭიროა მისი მექანიზმის ზუსტად შესწავლა, ცოდნა მისი კანონებისა, იდეებისა და მისი მამოძრავებელი ფაქტორებისა არა ისე, როგორც ეს ზერელე მაყურებელს ეჩვენება, არამედ შესწავლა მისი წიაღისა და იქიდან დაბადება. მხატვრული ლიტერატურისათვის მარტო ის კი არ არის საინტერესო თუ რამდენი კილოგრამი ჩაი მოკრიფა ქონა კილაძემ, არამედ ისიც, თუ რა მოხდა მის ბუნებაში, რა შეიცვალა, როგორია მისი სულიერი სამყარო და რამ გამოიწვია იგი.

ამ ფაქტთან დაკავშირებით მე არ შემიძლიან არ გავიხსენო აკაკი ბელიაშვილის ერთი მოთხრობა „ქეშეთ ქალდანი", რომელშიც იგი გვიამბობს ტრაგიკულ თავგადასავალს ერთი ჯამბაზისას, რომელიც საგასტროლოდ ჩავიდა რაჭის ერთ სოფელში და თავისი ბუტაფორიული დამბაჩიდან გატყორცნილ ტყვიებს ხელით იჭერდა. ამ წარმოდგენას შემთხვევით დაესწრო სვანეთიდან ჩამოსული ერთი მეამიტი მთის შვილი. ამ გვარი სანახაობით გაოცებულმა კაცმა იძრო ჯიბიდან თავისი დამბაჩა და სიტყვებით: „აბა, თუ ბიჭი ხარ, ეს ტყვიაც დაიჭირეო!" და ესროლა.

ჯამბაზი სცენაზე უსულოდ დაეცა. ეს ამბავი დაწერილია დიდი კეთილსინდისიერებით და, კითხვას რომ მორჩები, გრჩება შთაბეჭდილება მხოლოდ კარგად ნაამბობი ანეგდოტისა.

როგორც ხედავთ, ამბავი საინტერესოა, საინტერესო იმიტომ კი არა, რომ იქ კურიოზია აწერილი. საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ამ მასალის სათანადო გაშლით შეიძლება მეტად საგულისხმიერო პრობლემის დაყენება, რომელიც, მართალია, ახალი არ არის, მაგრამ ინტერესს მაინც არ არის მოკლებული.

მე არ ვიცავ აზრს, რომ უთუოდ რაიმე დიდი და განსაკუთრებული პრობლემა ისმებოდეს ყოველ მოთხრობაში. ანტონ ჩეხოვის მოთხრობებიდან თითქმის არც ერთი არ არის დიდ-პრობლემიანი, მაგრამ ისინი ყველანი ერთ რამეს მაინც ღაღადებენ, ეს ღაღადება რამდენიმე სიტყვით გამოხატა ვ. გოგოლმა თავის მოთხრობის **„Старосветские помещики"**-ს უკანასკნელ ფრაზაში: **«Скучно жить на этом свете, господа!»**

ა. ბელიაშვილის მოთხრობის მიხედვით კი **и не скучно и не весело.**

ჩემს შეკითხვაზე, თუ რა უნდოდა ეთქვა, ავტორი დიდის ამბიციით მიმტკიცებდა, რომ ეს ნამდვილი ამბავიაო. ჩვენ უფლება არა გვაქვს არ დავუჯეროთ და ამ შემთხვევაში არც არის ეს საინტერესო. საინტერესო აქ ის არის, რომ პატივცემულ ავტორს აქვს ერთი კარგი თვისება, სწეროს იმის გამო, რაც უნახავს, ან გაუგონია. ამ პრინციპს აქვს ერთი დადებითი მხარე: ამგვარი მუშაობა მწერალს აჩვევს სინამდვილესთან ჯიქურ დამოკიდებულებას, აახლოებს მას ცხოვრების მოვლენებთან, მაგრამ განა ეს საკმარისია? ჯერ კიდევ გოეთე ამბობდა მხატვარზე, რომელიც ბრმა ასლს იღებდა სინამდვილიდან და დიდის კეთილსინდისიერებით ხატავდა ფინიას: „მე მყავდა ერთი ფინია, ახლა მყავს ორიო". მერე ხელოვნებას რა? თუ ამ კარგ თვისებას არ ემატება დიდი კულტურა ღრმა აზროვნებისა, გარკვეული, მკაფიოდ ჩამოყალიბებული მსოფლმხედველობა, დიდი შემოქმედებითი პოტენცია და მით შესაძლებლობა, რომ ნახული, ან გაგონილი ფაქტი მოაქციო ერთ დიდ საერთო მნიშვნელს ქვეშ, ე. ი. ცხოვრებასა და ხელოვნებას შორის დაამყარო ურთიერთშესაბამისობა. სხვანაირად, მათი შეჯამება შეუძლებელი გახდება და წარმოიშობა საკითხი, რა უნდოდა ეთქვა ავტორს. საჭიროა უმაღლესი ინტეგრაცია, რომ უმცირეს ერთეულებად დაყოფილ მთელის ნაწილაკებიდან მიიღო ის დიდი ინტეგრალი, რომელსაც მხატვრული ნაწარმოები ეწოდება. ხელოვნება ცნობარი ხომ არ არის, ან სია მომხდარი ამბებისა?

ჩვენ განზრახ არ შევგვირჩევია ეს მოთხრობა, არა, ამ მოთხრობამ აღძრა ჩემში ეს ფიქრები და ამიტომ მოვიხსენიე იგი. მოვიხსენიე იმიტომ, რომ სხვა შესანიშნავ მოთხრობებს შორის, რომელიც ა. ბელიაშვილს დაუწერია, იგი ყველაზე მკაფიოდ აღძრავს იმ საკითხებს, რომელსაც აქ ვეხებით.

ასე წერა ნიშნავს სტენოგრამის წერას. რაც არ უნდა შესანიშნავად იყოს ნალაპარაკევი, იგი მაინც მკვდარია, ხშირად უაზროც, ბანალურიც, რადგან მას არ ახლავს ის ნერვი, ის სუნთქვა და სულისკვეთება, რომლითაც ორატორი ლაპარაკობდა.

ამიტომაც, მიუხედავად იმისა, რომ ეს მოთხრობა ფაქტიურ მასალაზეა აგებული, ხელოვნების ფაქტი მაინც არ არის,—იგი ანეგდოტია. ჩვენ გვინდა ცოცხალი ხელოვნება და არა ისეთი, რომელსაც უნდა ცოცხლად მოგვაჩვენოს თავი. დღეს ცხოვრებიდან ძალიან ბევრი მოაქვს მწერლებს და არჩევანში კი არ შედიან. შესანიშნავი ფაქტები იღრჩობიან ამ გაურჩევლობაში.

ამგვარ მუშაობაში არა სჩანს მწერლის დიდი და უხილავი ნებისყოფა, ორგანიზაცია მასალისა; არ იგრძნობა შემოქმედებითი ტენდენცია, ურომლისოდაც არ არსებობს ხელოვნება. ყველაფერი ნამდვილიდანაა აღებული, მაგრამ ნამდვილი მაინც არ არის, რადგან იგი არ არის ხელოვნება, არ უდგას სული, ეს სული კი ის იდეაა, ანუ ტენდენცია, რომლითაც შემოქმედის გული ხურს და ვარვარებს.

ამგვარივე საკითხებია დაყენებული ოსკარ უაილდის „დორიან გრეის პორტრეტში" სიბილა ვენის სახით, სადაც აქტრისა ველარ თამაშობს ჯულიეტას როლს იმის გამო, რომ იგი ნამდვილ ჯულიეტად იქცა. სინამდვილე გაცილებით წარმტაცი აღმოჩნდა, ვიდრე რამპა. სიყვარულმა, რომლითაც აივსო სიბილა ვენის გული, გაცილებით უფრო მძლავრად შეაშფოთა მისი სული, ვიდრე როლმა და თამაშს ცხოვრება ამჯობინა, კი არ ამჯობინა, სინამდვილეს ვერ სძლია და დაიღუპა, როგორც ხელოვანი. იგივე საკითხი დგას იბსენის დრამაში — „როდის ვიღვიძებთ ჩვენ, მკვდრები". ამ თემის ირგვლივ ტრიალებს ჩემი მოთხრობაც „შემოქმედი", სადაც მე შევეცადე უნისონში მომეყვანა ხელოვნება და სინამდვილე, სადაც ბეშქენ ოპიზარი საზრდოს იღებს ცხოვრებიდან და ერევა მას, ჰქმნის ხელოვნებას რეალისტურს და ნამდვილს. განა ბრუნო ფრანკის რომანი „სერვანტესი" ამავე საკითხს არ აყენებს?

აკ. ბელიაშვილის ხსენებულმა მოთხრობამ მე მომაგონა ერთი ფაქტი, რომელიც თურმე იტალიაში მომხდარა. ეს ფაქტი ერთ რუს კრიტიკოსს მოჰყავდა მაგალითად. იქ გაასამართლეს ერთი ახალგაზრდა იმის გამო, რომ ის გაკადნიერდა და ერთ ღამეს დაწვა ანტონიო კანოვას წარმტაც ქანდაკებასთან, რომელიც პოლინა ბონაპარტეს გამოხატავდა.

რასაკვირველია, იტალიის კაზუისტიკოსებს არავითარი განაჩენის გამოტანა არ შეეძლოთ, გარდა იმისა, რომ ეს ახალგაზრდა დასაჯეს თითქოს საზოგადოებრივი მორალის დარღვევისათვის.

თუ ამ ფაქტის შეფასებისას კაზუისტიკოსთა პედანტიზმზე მაღლა დავდგებით, დავინახავთ, რომ ჭაბუკმა დაარღვია პირობა, დისტანცია ხელოვნებასა და ცხოვრებას შორის. ეს თემა როგორღაც პირუკუ ეხმაურება პუშკინის „ქვის სტუმარსა" და პროსპერ მერიმეს „ილის ვენერას", სადაც ხელოვნება ქვის სტუმრისა და ვენერას სახით იჭრება ცხოვრებაში.

იმ ბედკრული ჯამბაზის ბედიც დაახლოვებით იმგვარად გადაწყდა, როგორც პოლინა ბონაპარტესი. ოღონდ მასთან კი არ დაწვნენ, — მოჰკლეს და მით მოკვდა ხელოვნება.

ეს ფაქტი შეიძლებოდა ამ მოთხრობაში ატანილიყო ამგვარ პრობლემამდე, მაგრამ ჩვენმა ავტორმა ეს არ მოისურვა. შეიძლება სხვა პრობლემაც წამოჭრილიყო, მაგრამ ფაქტია, რომ ავტორს არც ერთზე არ უფიქრია, ამიტომ არც მოთხრობა აღმოჩნდა ხელოვნების სიმაღლეზე ატანილი, და შეგვრჩა უბრალო ანეგდოტი.

როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ ხელოვნებაზე, ჩვენ გვინდა, რომ იგი იყოს ნამდვილი ხელოვნება, ხელოვნება შემოქმედებითად ამსახველი ჩვენი სინამდვილისა, მისი აზრისა, იდეებისა და მიზანდასახულებისა. ჩვენ გვინდა მონახულ იქნას მწარმოებლების პირუკუ გაანგარიშებით ის დიდი ინტეგრალი, რომელსაც ხელოვნება ეწოდება. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ მივიღებთ არხეინად ნაამბობ ანეგდოტებს, ანეგდოტებთან კი ხელოვნებას საქმე არა აქვს.

მირზა ფატალი ახუნდოვის ხსოვნის აღსანიშნავად

1-ლ იანვარს მირზა ფატალი ახუნდოვის საფლავზე შესდგა მიტინგი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო ბაქოდან ჩამოსულმა დელეგაციამ. დელეგაციაში შედიოდნენ აზერბაიჯანის საბჭოთა მწერლების კავშირის თავმჯდომარე ამხ. ოსმან სარივალი, პოეტები სამედ ვურგუნი, სულეიმან რუსტამი და რასულ რზა და საკავშირო მწერალთა კავშირის წარმომადგენლები პროფ. დინიკი და პოეტი პ. პანჩენკო. მიტინგს დაესწრნენ აგრეთვე საქართველოს და სომხეთის მწერალთა კავშირების წარმომადგენლები, ტფილისის მოსწავლე ახალგაზრდობა და ტფილისის აზერბაიჯანული დრამის მსახიობები.

სამგლოვიარო მიტინგზე სიტყვები წარმოსთქვეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა დრამატურგმა შალვა დადიანმა, აზერბაიჯანის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა პოეტმა ორდენოსანმა სამედ ვურგუნმა, სომხეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა მწერალმა არაზიმ, მოსკოველ მწერალთა წარმომადგენელმა ვ. დინიკმა, საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა ვ. აბასოვმა და სხვ.

ყველა ორატორი აღნიშნავდა მირზა ფატალი ახუნდოვის უდიდეს როლს აზერბაიჯანის ახალი ლიტერატურული ენისა და მწერლობის დაფუძნების საქმეში. მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა, — აღნიშნავდნენ ორატორები,—ერთნაირად ხელმისაწვდომია და საყვარელი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხისათვის.

აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის საბჭოთა მწერლების დელეგაციამ მირზა ფატალი ახუნდოვის საფლავი გვირგვინებით შეამკო.

ახუნდოვის საფლავი გვირგვინებით შეამკეს აგრეთვე საქართველოს და სომხეთის საბჭოთა მწერლების წარმომადგენლებმა.

ახალი წიგნები

„ნაპერწკლიდან" რუსულად

მოსკოვის გამომცემლობა „ისკუსტვო" რუსულად სცემს სსრკ უმაღლეს საბჭოს დეპუტატის დრამატურგის შალვა დადიანის პიესას „ნაპერწკლიდან".

„მნათობი" № 12

იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა ჟურნალ „მნათობის" მე-12 ნომერი. ამ ნომერში მოთავსებულია შემდეგი მასალა:

გრ. აბაშიძის „კიროვი" (ლექსი), ვ. ჭიჭინაძის „მარინა რასკოვა" (ლექსი), კ. გამსახურდიას „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა" (რომანი, გაგრძელება), ს. ჩიქოვანის ლექსები, ანა ზახუტაშვილის „იოსებ ლალიაშვილი" (რომანი, გაგრძელება), ვ. უბილავას „მეგრული ნანა" (ლექსი), ლადო ასათიანის „შევჩენკოს" (ლექსი), მირზა ფატალი ახუნდოვი „პუშკინის გარდაცვალებაზე" (ლექსი, თარგმ. გრიშაშვილის მიერ), აბატ პრევოს „მანონ ლესკო" თარგ. ქეთევან ირემაძის მიერ (რომანი, გაგრძელება).

კრიტიკისა და ლიტერატურის ისტორიის განყოფილებაში მოთავსებულია კრიტიკული წერილები აკ. გაწერელიასი — „გალაქტიონ ტაბიძე", აზიზ შარიფისა — „მირზა ფატალი ახუნდოვი", მ. მენაბდესი — „დენი დიდრო".

სალიტერატურო არქივის განყოფილებაში დაიბეჭდება ი. ბ.-ს წერილი: „ბარათაშვილის ბიოგრაფიის ახალი მასალები".

ბიბლიოგრაფიის განყოფილებაში დაისტამბება ერ. ასტვაცატუროვის ბიბლიოგრაფია—„სტალინურ თაობას".

„ოქტომბრის ყვავილები"

საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის გამომცემლობამ სკოლამდელ ჰასაკის ბავშვთათვის გამოსცა ილია სიხარულიძის ლექსების წიგნი „ოქტომბრის ყვავილები". სიხარულიძის ეს წიგნი მეტად საინტერესოა ბავშვთათვის, აგრეთვე იგი ბევრად დაეხმარება საბავშვო ბაღების მასწავლებლებს ყოველდღიურ მუშაობაში. წიგნი დასურათებულია მხატვარ შ. ბერიტაშვილის მიერ, შეიცავს 44 გვერდს და ღირს 2 მანეთი.

საბავშვო და ლიტერატურის გამომცემლობა, საერთოდ ნაკლებად სცემს ასეთი სახის წიგნებს. სკოლამდელ ჰასაკის ბავშვთათვის ძალზე მცირე ლიტერატურა გვაქვს, ამიტომ ამ გამომცემლობამ მეტი უნდა იზრუნოს ამ ჰასაკის ბავშვთა მომსახურებისათვის. არა ნაკლები პასუხისმგებლობა ეკისრება მწერალთა კავშირის საბავშვო სექციასაც. მწერალთა კავშირმა და კერძოდ საბავშვო სექციამ უფრო კონკრეტული ზომები უნდა მიიღონ, რათა ოქტომბრელთათვის შეიქმნეს საკმაო და საჭირო მხატვრული წიგნები.

„რუსულ-ქართული ლექსიკონი"

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის აკად. ნ. მარის სახ. ინსტიტუტის სალექსიკოლოგიო განყოფილებამ გამოსცა რუსულ-ქართული ლექსიკონი პროფ. ვ. თოფურიას რედაქციით. ლექსიკონი შედგენილია სპეციალურად სკოლებისათვის. ლექსიკონი შეიცავს 12.000 სიტყვას, გამოცემულია 30.000 ცალად და ღირს 5 მ. 40 კ.

„გაზაფხულის სიმღერები"

საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის გამომცემლობამ გამოსცა ახალგაზრდა პოეტის სანდრო ეულის ლექსების წიგნი „გაზაფხულის სიმღერები". წიგნში მოთავსებულია 46 ლექსი, შეიცავს 90 გვერდს და ღირს 2 მან. და 50 კაპ.

საზღვარგარეთ

არტურ რემბო აბისინიაში

პაიოს პარიზის გამომცემლობამ გამოსცა ედმონდ სტარკის წიგნი „რემბო აბისინიაში". ეს წიგნი შეიცავს ცნობილი პოეტის ახალ ბიოგრაფიულ მასალას. იგი ახალი თვალსაზრისით აშუქებს რემბოს ბიოგრაფიის იმ პერიოდს, რომელიც ეხება პოეტის აბისინიაში ცხოვრებას. 1880 წელს რემბომ უკუაგდო ოცნება ლიტერატურული სახელის მოხვეჭაზე. დასახლდა ადენში, სადაც ეწეოდა წვრილ სავაჭრო აგენტობას. შემდეგ გადასახლდა აბისინიაში, დაუახლოვდა ნეგუსის იოანე მეოთხის სასახლის კარს, ეხმარებოდა აბისინელებს იარაღის შეტანაში და მონაწილეობას იღებდა იტალია-აბისინიის 1886—1888 წლების ომში. იგი ერთადერთი ევროპელი იყო, რომელმაც იწინასწარმეტყველა იტალიელების დამარცხება იტალია-აბისინიის მეორე (1896 წლის) ომში.

წიგნში ხაზგასმულია რემბოს განმანათლებელი როლი აბისინიაში, მისი მუშაობა აბისინიის ფოლკლორის შეკრებისა და კვლევის საქმეში. ფრანგულ ჟურნალ-გაზეთების აზრით, ეს ბიოგრაფიული მასალა საშუალებას იძლევა ახლებურად მივუდგეთ რემბოს ლიტერატურულ მემკვიდრეობას.

პროსპერ მერიმეს გამოუქვეყნებელი მიმოწერა

ბუავენის პარიზის გამომცემლობამ გამოსცა პროსპერ მერიმეს მიმოწერა (103 წერილი) ინგლისელ მსახიობ ქალ ფანი ლეგდენთან. მიმოწერა მიეკუთვნება 1837—1869 წლებს. ფანი ლეგდენი გარდაიცვალა მერიმეს სიკვდილის ცოტახნის შემდეგ და დამარხულია მწერალთან ერთად ერთ საფლავში ინგლისელთა სასაფლაოზე კანაში.

მერიმეს ეს მიმოწერა მწერლის ყველაზე უფრო ინტიმურ წერილებს შეიცავს. ამასთან ერთად მასში გაფანტულია მერიმეს ხელოვნებათმცოდნეობისა და არქეოლოგიური ეტიუდები, მისი მოგზაურობის ამბები საფრანგეთსა, ინგლისსა და გერმანიაში. ერთერთი წერილი აგვიწერს იმას, თუ რისთვის განაცხადა მერიმემ უარი განათლების მინისტრის პოსტის მიღებაზე. ეს პოსტი მას შესთავაზეს მისმა პოლიტიკურმა თანამოაზრეებმა 1830 წლის ივლისის რევოლუციის შემდეგ.

ფანი ლეგდენისადმი მიწერილი წერილები დაწერილია ინგლისურად. ახლა ისინი გამოცემულ იქნა ინგლისურად და ფრანგულად.

სახალხო თეატრი არგენტინაში

არგენტინას სრულიად არ შეხებია თეატრალური ხელოვნების ის განახლება, რომელიც განიცადეს ევროპისა და ამერიკის ქვეყნებმა ამ ოცი წლის განმავლობაში. მხოლოდ უკანასკნელ ხანებში ბუენოს-აირესში ჩამოყალიბდა თეატრალური ორგანიზაცია, რომელსაც შეუძლია საფუძველი ჩაუყაროს ახალ მოძრაობას თეატრალურ ფრონტზე. ეს არის სახალხო თეატრი, რომელიც დააარსა არგენტინის სატახტო ქალაქში რეჟისორ ლეონიდ ბარლეტმა.

თეატრის დასი შესდგება 30 სცენისმოყვარისაგან. ესენი სხვადასხვა პროფესიის პირები არიან და დღე თავიანთ საქმეზე მუშაობენ. მიუხედავად ამისა, ყოველი მათგანი თეატრში მუშაობს არა ნაკლებ პროფესიონალ აქტიორისა. ახალი პიესების რეპეტიციები ჩვეულებრივად იმართება წარმოდგენის დამთავრების შემდეგ და სრულდება ღამის 3-4 საათზე. დეკორატორებიც და სცენის ტექნიკური პერსონალიც სცენისმოყვარეთაგან შესდგება.

ამ ახალი თეატრის დადგმები საკმაოდ მაღალ დონეზე სდგანან.

შარშან თეატრმა დადგა ცხრა კლასიკური პიესა, მათ შორის შექსპირის, სერვანტესის, ლოპე დე ვეგას, გოგოლის პიესები. გარდა ამისა, თეატრმა მაყურებელს უჩვენა ხუთი უცხოური თანამედროვე პიესა და ოთხი პიესა არგენტინელ თანამედროვე მწერლებისა. ამ პიესებისათვის ტანისამოსი და დეკორაციები დასმა თვითონვე დაამზადა.

თეატრმა ისეთ მხატვრულ და მატერიალურ წარმატებას მიაღწია, რომ იგი მომავალი წლისთვის საკუთარი შენობის აგებას ფიქრობს.

ფაშისტები ანადგურებენ კულტურას

„ფაშისტები ანადგურებენ გერმანიის კულტურას" — ასეთი სათაურით ათავსებს წერილს გაზეთი „ვანდრედი". წერილში მოყვანილია რამდენიმე ციფრი, რომლებიც ამტკიცებენ გერმანიის კულტურის დაცემას ამ უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში.

წერილში აღნიშნულია გერმანული კინო-სურათების ექსპორტის დაცემა. 1931 წელს გერმანიიდან გაუტანიათ 59 მილიონი მარკის კინო-ფილმი, 1937 წელს კი გიტლერის გერმანიამ გაიტანა საზღვარგარეთ მხოლოდ 7.200.000 მარკის კინოსურათი.

ჯერ კიდევ 1932 წელს პოლონეთში დემონსტრირებულ კინო-სურათების 58%-ს შეადგენდნენ გერმანული წარმოშობის კინო-ფილმები. 1938 წლის პირველ ნახევარში კი პოლონეთში ნაჩვენებ საზღვარგარეთულ 82 კინო-ფილმიდან 36 ამერიკიდანაა, 31 ფრანგული კინოსურათია, 4 ინგლისური, 2 იტალიური და სხვ. მხოლოდ 3 კინო-ფილმია გერმანული. პოლონეთმა შეიძინა ეს ფილმები და სამაგიეროდ აიძულა გერმანია შეეძინა 2 პოლონური კინო-სურათი.

გერმანულ კინო-ფილმების ექსპორტი დაეცა: კანადაში 28%-დან 9%-მდე, აფრიკაში — 36%-დან 14%-მდე. სირიასა და პალესტინაში გერმანიიდან კინო-ფილმების ექსპორტი სრულიად შეწყდა. „მეგობრულ" იაპონიაშიც კი შემცირდა გერმანული კინო-სურათების რიცხვი.

გერმანული დრამატურგიის „ექსპორტი"-ს საქმე უფრო ცუდ მდგომარეობაშია. გიტლერისა და მისი დამქაშების ბატონობის 5 წლის განმავლობაში გერმანელ ფაშისტ დრამატურგთა მხოლოდ სამი პიესა იქნა დადგმული საზღვარგარეთის სცენაზე და ისიც ფაშისტურ იტალიასა და უნგრეთში.

„იმედი"

ბარსელონიდან 40 კილომეტრის დაშორებით, მონსერატეში დაიწყო გადაღება კინო-ფილმისა, რომელიც მიძღვნილია ესპანელ ხალხის გმირული ბრძოლისადმი. ფილმის სცენარი შედგენილია ანდრე მალროს რომანის „იმედის" მიხედვით. მასობრივ სცენებში მონაწილეობას იღებს 5000 კაცი.

ჰოლანდიური ფერწერის გამოფენა

როტერდამის ბოიმანსის მუზეუმში გაიხსნა ჰოლანდიური ფერწერის დიდი გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილია ღირსშესანიშნავი ნამუშევრები 400 წლის მანძილზე. იქ ნახავთ რემბრანდტის (1606—1669), ფრანც გალსის (1580—1666), რუისდალის (1629—1682) და სხვა გამოჩენილ ჰოლანდიელ მხატვართა ნაწარმოებებს.

მეცხრამეტე საუკუნე წარმოდგენილია იმპრესიონისტთა წინამორბედის ჯონკინდის (1819—1891), ვანგოგის (1853—1890) და ვან დონგენის სახით.

ფაშისტური ხელოვნების „ძიებაში"

იტალიის ფაშიზმი უკვე 16 წელია ცდილობს შექმნას „ფაშისტური ხელოვნება". ყოფილი ფუტურისტი და ეხლა „აკადემიკოსი" მარინეტი რამდენიმე ხნის წინათ „მეციანო დი რომა"-ში გამოვიდა ახალი რეცეპტით, რომელშიაც იგი ცდილობს დააწესოს ამ „ხელოვნების" საფუძვლები. მის მიერ წამოყენებულ მთავარ პრინციპს შეადგენს შემდეგი: „აუცილებლად უნდა დავიჯეროთ, რომ ომი არა თუ არ არის კაცობრიობის განადგურება, არამედ 1914—1918 წელს მან შექმნა ბაზა ფაშისტური რეჟიმისა და იტალიის იმპერიისათვის. აუცილებლად უნდა გვახსოვდეს, რომ აბისინიის ომმა, რომელსაც დუჩე რადიოტელეფონით ხელმძღვანელობდა, მოგვცა იმპერია".

ეს „პრინციპი" ახალი არ არის, ფაშისტი „აკადემიკოსი" პირველად როდი ცდილობს დაარწმუნოს იტალიის ხალხი, რომ „ომი მშვენიერებაა", მისი განდიდება შეიძლება საფუძვლად დაედვას ხელოვნებას. იტალიელ ხალხს არ ესმის ეს „ბრძნული" დებულება.

ფაშისტები ანიავებენ ესპანეთის მხატვრულ ღირებულებებს

„ნიუ-იორკ პოსტმა" გამოაქვეყნა იმ მხატვრულ ნაწარმოებთა სია, რომლებიც ხელში ჩაუვარდათ ესპანელ ფაშისტებს და რომლებიც მათ საზღვარგარეთ გაიტანეს გასასყიდად. ამ ნაწარმოებთა შორის არის ელ. გრეკოს, ველასკესის, გოიას, ხოსე რიბეირის და სხვათა ცნობილი სურათები. სურათებთან ერთად საზღვარგარეთ გაიტანეს გობელენები და სხვა ძვირფასი ნივთები. ყველაფერი ეს მოპარულია მუზეუმებისა და ეკლესიებიდან. თავის დროზე ისინი შეტანილ იქნა ნაციონალური მხატვრული მემკვიდრეობის კატალოგში, რომელიც პირველად შეადგინა რესპუბლიკურმა ხელისუფლებამ ესპანეთის მთელი ისტორიის მანძილზე.

პეტრე უმიკაშვილი

პეტრე უმიკაშვილი გასული საუკუნის ჩვენი საზოგადოების უაღრესად ნაყოფიერი მოღვაწეა. 70-იან წლებში პეტრე უმიკაშვილი ანჩისხატელისა და მ. პეტრიძის ფსევდონიმებით ბეჭდავს წერილებს იმ დროის აქტიურ საკითხებზე. 1873 წლიდან გიორგი წერეთელმა პ. უმიკაშვილს გადასცა „სასოფლო გაზეთი", რომელსაც იგი 1880 წლამდე რედაქტორობდა. იმ პერიოდში ეს ერთადერთი საგლეხო გაზეთი იყო. პეტრე უმიკაშვილმა თავის გაზეთს დიდი პოპულარობა მოუპოვა გლეხობაში, რომელთანაც მას მჭიდრო კავშირი ჰქონდა.

პ. უმიკაშვილის სახელთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ქართული წიგნის გამოცემის საქმე მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში. მისი ინიციატივით დაიწყო 60—70-იან წლებში იაფფასიანი სახალხო წიგნაკების გამოცემა.

პ. უმიკაშვილი გასულ საუკუნეში ქართველი კლასიკოსების პირველი რედაქტორ-გამომცემელი იყო. მისი თაოსნობით და რედაქტორობით გამოვიდა 70—80-იან წლებში ქართველი კლასიკოსების სულხან-საბა ორბელიანის, დავით გურამიშვილის, ნიკ. ბარათაშვილის და სხვათა თხზულებანი. თავის რედაქტორულ მუშაობაში პ. უმიკაშვილი უაღრესად კეთილსინდისიერი და თავდადებული იყო.

პეტრე უმიკაშვილს უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ქართული ხალხური სიტყვიერების შეკრებაში. მან შეაგროვა დიდძალი ქართული ფოლკლორული მასალა, რომლის მთლიან გამოცემას იგი ვერ მიესწრო სიცოცხლეში. პ. უმიკაშვილის მიერ შეგროვილი ხალხური სიტყვიერების მცირე ნაწილი პროფ. ფ. გოგიჩაშვილმა გამოსცა 1905 წელს. 1937 წელს მისივე რედაქტორობით გამოვიდა ამ სიტყვიერების დიდი ტომი („ფედერაციის" გამოცემა).

პ. უმიკაშვილი აგრეთვე ქართული თეატრის ენერგიული მოღვაწე იყო. იგი ჯერ კიდევ 60-იან წლებში მონაწილეობას იღებდა სცენის მოყვარეთა წარმოდგენებში. პ. უმიკაშვილი სწერდა პიესებს. მისი პიესები „მისანი", „დამარცხებულნი", „სამზადისი" ხშირად იდგმებოდა ქართულ სცენაზე.

ასეთია პეტრე უმიკაშვილის მოღვაწეობის მთავარი მომენტები. იგი ეკუთვნის წარსული საუკუნის იმ მოღვაწეების რიცხვს, რომლებიც თავიანთი უხმაურო, მაგრამ თავდადებული მუშაობით საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველ უბანში აკეთებდნენ დიდ ისტორიულ საქმეს. პ. უმიკაშვილი თანაბრად ზრუნავდა ქართული ჟურნალისა და ქართული თეატრის წარმატებაზე, შაურიანი სახალხო წიგნაკების გამოცემაზე.

თავის პუბლიცისტურ წერილებში იგი ებრძოდა ცარიზმის რუსიფიკატორულ პოლიტიკას და გაბედულად იცავდა ქართველი ხალხის სახელოვან ისტორიას და მშობლიური ენის უფლებებს.

პეტრე უმიკაშვილს 60-იან წლებში მონაწილეობა მიუღია ე. წ. „მამათა" და „შვილთა" ბრძოლაში. 1861 წელს ილია ჭავჭავაძის დასაცავად მას დაუწერია ვრცელი სტატია, რომლის დედანიც ამჟამად დაცულია საქართველოს მუზეუმის პალეოგრაფიულ განყოფილებაში.

პ. უმიკაშვილის სტატია მიმართულია „ცისკრის" მწერლების წინააღმდეგ. კერძოდ მასში გარჩეულია ილია ჭავჭავაძის საპასუხოდ დაწერილი წერილები „კრიტიკოსის" თქიფანიძის (პირველი თერგდალეული), გიორგი წერეთლისა (მეორე თერგდალეული) და აკაკი წერეთლის (მესამე თერგდალეული) სტატიებთან ერთად პ. უმიკაშვილის პოლემიკური წერილი ილია ჭავჭავაძის იდეური პოზიციების საუკეთესო დაცვას წარმოადგენდა.

პ. უმიკაშვილი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ილია ჭავჭავაძის წერილი მიმართულია არა მარტო ძველი თაობის არქაული ენის წინააღმდეგ, არამედ ძველ ლიტერატურულ მიმართულებათა წინააღმდეგაც.

პ. უმიკაშვილი აღნიშნავს კრიტიკის უდიდეს საჭიროებას ქართული მწერლობის გარდაქმნისათვის და ვრცლად ჩერდება ენის საკითხზე.

ილია ჭავჭავაძის საპროგრამო წერილიდან გამოსული, პ. უმიკაშვილი გაბედულად აყენებს ენის ხალხურობის პრობლემას.

„ხუთნი მოწინააღმდეგენი,—სწერს იგი, — ჭავჭავაძეს ენის უცოდინარობას აყვედრიან. აგერ წელიწადნახევარი მეტია, რაც ენაზე რამდენჯერმე გვსმენია ლაპარაკი. ზოგი ენასა სამგვარადა ჰყოფს. მაღალ-ფრასული, საშუალ-ფრასული და მდაბალ-ფრასული. ზოვი ორგვარად —მაღალ და დაბალ ფრასულად. ბარათოვი—პოეტიკურ ენად და ფილოსოფიურ (ე. ი. ფილოსოფიურ) ენად(!) თუ ღმერთმა დაგვაცალა, იქნება კიდევ გამოუჩნდეს სახელები.

...ძველი ენა ახალ ხალხში აღარ იხმარება, რადგან ის ძველი ენა ძველ ხალხთანვე მომკვდარა.

... ეხლანდელი ენა ძველ ენას არა გავს. ენაში ცვლილება მომხდარა. მაგრამ აი საკვირველი: ზოგიერთი ჩვენი მწერლები დღეის აქამომდე ისე წერას ცდილობენ, როგორც რამდენიმე ასის წლის წინად უწერიათ. თუ საზოგადოებისათვის სწერენ ხალხის გასაგონად უნდა სწერონ.

...უფ ალექსიევ-მესხიევის სტატიამ უფრო გაგვაგრძელებინა; გვიკვირს, ეს შრომის მოყვარე მწერალი მაღალფრასულ ენას ჩააცივდა. ამაზე ძალიანა ვწუხვართ, რომ ახალ მშვენიერ ენისთვის თავი დაუნებებია.

ჩვენ ეს დავვერჩა სათქმელი, რომ ენას კაცი ვერც გრამატიკით ისწავლის, ვერც რა სხვა თეორეტიკით. ენას კაცი ენითვე ისწავლის ცხოვრებაში. ჩვენი ჰაზრის დასამტკიცებლად ორიოდე მაგალითს მოვიტანთ, რომ თუმცა ალექსიევ-მესხიევმა თეორეტიკა კარგა იცოდეს, მაგრამ შეცდომები კი აქვს".

პ. უმიკაშვილს მოჰყავს აღნიშნული მწერლის არქაული ენის მაგალითები და დაასკვნის „ამგვარი ლექსთთხზულება და კონსტრუქცია ქართული არ გახლავთ".

უკანასკნელად პ. უმიკაშვილი ეხება ხელოვნების ცნების ინტერპრეტაციის საკითხს.

ილია ჭავჭავაძის რეალისტურ ესთეტიკურ კონცეპციიდან გამოსული, პ. უმიკაშვილი ხელოვნების ცნების ასეთს განსაზღვრას იძლევა: „ხელოვნება იმ საშუალსა ქვიან, რომლის შემწეობით გამოხატავს რასმე აზრსა, იდეასა. ეს გახლავს პოეზია, მუსიკა და სხვ. მაშასადამე, ხელოვნება არის სახეში გამოხატვა, განხორციელება აზრისა, იდეისა".

ასეთია პ. უმიკაშვილის ლიტერატურული შეხედულებანი 60-იან წლებში. პ. უმიკაშვილის უცნობი წერილი „ცისკრის" წინააღმდეგ მდიდარ მასალას იძლევა არა მარტო მისი ავტორის მსოფლმხედველობის გასაგებად, არამედ 60-იანი წლების „მამათა" და „შვილთა" ბრძოლის ისტორიის შესასწავლადაც.

გ. აბზიანიძე

მელიტონ ბარათაშვილი

მელიტონ ნიკოლოზის-ძე ბარათაშვილი თვრამეტი წლისა იყო, ხოლო ეფემია თხუთმეტი წლისა, ჯვარი რომ დაიწერეს. პირველი შვილი ტატო იყო, რომელსაც ბაბუას პატივსაცემად ნიკო უწოდეს. სულ მელიტონს თოთხმეტი შვილი ჰყავდა, რვა ქალი და ექვსი ვაჟი, მაგრამ, ნიკოსა და ოთხი ქალის გარდა ყველანი პატარები — სამ წლამდის—დაეხოცნენ.

„ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებელში" კურსდამთავრებული მელიტონ ბარათაშვილი საკმაოდ განათლებული კაცი იყო. ზედმიწევნით მცოდნე ქართული მწერლობისა, საუცხოო მოსაუბრე, მჭერმეტყველი, რომელმაც ქართულის გარდა, კარგად იცოდა რუსული, სომხური და თათრული ენები.

სხვა ყველა ღირსებასა და ნაკლთან ერთად მელიტონს ერთი საშინელი თვისება ჰქონდა—მეტის-მეტად ანჩხლი იყო და მყვირალა. „თავის სადგომში რომ გააბამდა ყვირილს, — გადმოგვცემს ივანე კერესელიძე, — თეკლე ბატონიშვილის სახლში გვესმოდა — კანტორის პირდაპირ" ¹)

მელიტონის გულფიცხობის წყალობით მის ოჯახს არა ერთხელ „ცხარე ცრემლი უღვრია და მწარე პური უჭამია".

მელიტონ ბარათაშვილი კავკასიის მთავარმართებლების ერმოლოვისა (1816—1827) და პასკევიჩის (1827—1831) დროს მოურავ სამმართველოს თარჯიმნად იყო. ეს თანამდებობა მაშინდელი მთავრობისა და საზოგადოების თვალში საკმაოდ დიდ და პატივსაცემ ადგილად ითვლებოდა. შემდეგში მელიტონი ტფილისის მაზრის მარშალი იყო.

ერმოლოვისა და პასკევიჩის შემდეგ საქართველოში მთავარმართებლად დანიშნულ როზენის ჩამოსვლისთანავე მელიტონ ბარათაშვილი შეეცადა კარგი დამოკიდებულება ჰქონოდა მასთანაც.

1832 წლის 15 იანვარს მელიტონი რუსეთში მყოფ გრიგოლ ორბელიანს სთხოვდა კერძო წერილში: „ალექსი პეტროვიჩი (ერმოლოვი) მიდი ნახე და როცა ნახო ასე უთხარი ჩემი, რომ თქვენს შემდგომ ისე არისთქო გაშვებული და უკანასკნელ ცხოვრებაშიათქო.

ამ ახლანდელს ჩვენს მთავარმართებლისთქო დიდათ პატივისცემა აქვსთქო. ბარათოვი მწერს თქო, რომ ბარონ როზენს წიგნი მისწეროთქო.

Который скажи надеется, что по письму вашему обратит свое внимание. არა ჰქნა, რომ არ ნახო და ეს ასე არ მოახსენო. ჩემი დიდათ შეწუხება უთხარ და კიდეც ეცადე, რომ ეგებ მართლა ერთი წიგნი მოსწეროს ჩემთვის ახლანდელს ჩვენს მთავარმართებელს".²).

ცხრამეტი დღის შემდეგ დაწერილ წერილში მელიტონი აგონებდა გრიგოლ ორბელიანს: „ამას წინად რომ მოგწერე ალექსი პეტროვიჩის ნახვა რატომ არასა მწერ?" ³).

ცოლის ძმასთან გაგზავნილმა ბარათებმა გასჭრეს. გრიგოლ ორბელიანმა ინახულა ერმოლოვი, ხოლო იმან წერილი მოსწერა ბარონ როზენს საქართველოში და ამ დღიდან ახალი მთავარმართებელი წყალობის თვალით უყურებდა მელიტონს. მან „განსაკუთრებული ერთგულებისთვის" მაიორობა, ჯვარი და პენსია მიიღო.

მელიტონ ბარათაშვილი თურმე მეტად დარდი-მანდი, სტუმართმოყვარე და ხელგაშლილი იყო.

ივანე კერესელიძის ცნობით, მელიტონის სახლში „მუდამ დღე ისეთი სადილები იმართებოდა და იგი ისეთი მჭამელი მებატონე იყო, რის მეოხებით მას მუდამ დღე ორი ყმა კაცი ჰყავნდა დაბანდებული მარტო თევზის საჭერათ, ესენი ორთავ ქალისკენ მუდამ დღე დადიოდნენ და ახალ თევზს იჭერდნენ". ⁴)

მელიტონიანთ სახლის კარი ყველასათვის ღია იყო. მაგრამ ყველაზე უფრო ხშირად მასთან დადიოდნენ: მღვდელი იგნატე იოსელიანი, პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე, ძმები ნიკოლოზ და მიხეილ ფავლენიშვილები, სოლომონ მეითარი თარხნიშვილი, გიორგი და ალექსანდრე საგინაშვილები, მღვდელი დავით კანდელაკი და სხვანი.

მელიტონის ბინა ერთგვარ სალონსაც წარმოადგენდა. დიდ პატივისცემაში იყო სალონები იმ დროს, რადგან არც თეატრები, არც კონცერტები, არც კლუბები მაშინ არ იყო.

ევროპული ცხოვრების წესს არც მელიტონი რჩებოდა უკან. რუსეთსა და საზღვარგარეთ წამსვლელთ იგი სთხოვდა სხვადასხვა ნივთების ჩამოტანას.

ევროპაში მყოფი ზაქარია ორბელიანი კერძო წერილში, სხვათა შორის, სწერდა გრიგოლ ორბელიანს: „მელიტონს უთხარით ჩემ მაგივრად მოელოდეს ასეთ ნივთებს მოუტან ფრანციიდან, რომ გაჰკვირდეს. ძალიან არკი ვიცი, რომ მელიტონ იტყვის: ნეტა რას მიჰქარამსო, ყოველთვის ასე ალმოთქვამს და არაფერს კი არ მოიტანს ხოლმეო".⁵)

1835 წლის იანვრიდან მელიტონ ბარათაშვილი საკმაოდ დიდი ხნით ლოგინად ჩავარდა. ეხლა ბარათაანთ სახლიდან მელიტონის გაბმული ყვირილის ნაცვლად ავადმყოფის მისუსტებული კვნესა ისმოდა.

18 თებერვალს ზაქარია ორბელიანი ტფილისიდან სწერდა თავის ძმას გრიგოლს:

«Мелитон очень болен, так что я уж не имею надежды к его выздоровлению.

როგორ დაღუპა თავისი სახლი და ცოლშვილი, ერთი გროში არა აქვთ, ან რით უნდა დაიმარხოს, და ან რით უნდა იცხოვრონ ცოლშვილმა იმის შემდეგ ვინც დარჩება. ეხლაც ზღვაა ამის ხარჯი შინ, ვგონებ 5000 რუბლსა ხარჯავდეს წელიწადში და საბოლოოდ კი ფიქრი არა ჰქონია.

Что он с нами сделал, как я узнал теперь на счет нашего залога, отданного материю в приказ за 3.000 серебром, Мелитон взял из приказа и при маминьке еще 1500 серебром.

Ох! какой мерзавец. Этот долг падет на нас, ибо лежит на залоге нашем.

После смерти Мелитона, чем бедная Афилия заплатит как этот долг, так и прочия портикулярныя. არ ვიცი რავქნა, ვწუხვარ ამას". ⁶)

მარტის დასაწყისში მელიტონმა ოდნავ მოიკეთა. 1835 წლის 12 მარტს ზაქარია ორბელიანი ატყობინებდა გრიგოლ ორბელიანს: „მელიტონ ეხლა კარგათ არის, ვამომრჩა სიკვდილისაგან". ⁷)

მაგრამ აპრილში ავადმყოფი ისე ცუდად გახდა, რომ მისი მორჩენის იმედი ყველას დაეკარგა.

იმ ხანებში ნ. ბარათაშვილმა გიმნაზიის კურსი დაამთავრა.

„ჩემი სურვილი, — სწერდა იგი თავის ბიძას გრიგოლ ორბელიანს. — იყო ჯარის კაცობა, იგი მზრდიდა მე აქამომდინ და ახლაც ხანდისხან კიდეც შთამომეპარება ხოლმე გულში. მაშ რაღამ დამიშალა, თუ კი ჩემი სურვილი იყო? აი რამ დამიშალა: ჩემთა მშობელთა მიზეზად ეს მომიდეს, რომ კოჭლი ხარო და თუ არ ინვალიდის კომანდაში, სხვაგან არ მიგიღებენო, მაშინ როდესაც ფეხი უკეთ მქონდა და კარგადაც მაქვს, ასე რომ ჩემებურად კიდეც ვხტი და კიდეც ვტანცაობ.

მაგრამ რადგანაც შევიტყვე უარი მათი და მით უამოვნობა, ვსთხოვე უნივერსიტეტში მაინც გავეზავნა, რომ თუ შტატსკი ვიყო, ვიყო, არც ეს შემისრულეს, უბედურების გამო, მამაც ამ დროს ავად შეიქნა და ავადმყოფი, ჩემს თხოვნაზე, ასე მეტყოდა: „შვილო, ხომ ხედავ შენის სახლის ვარემოებასაო, იქნება მე ვეღარც კი გავაწიო ამ სნეულებასაო, შენ სახლს არ უპატრონებო?. ამის შემდეგ გული აღარ იყო, რომ კიდევ შემეწუხებინა მამა ჩემი თხოვნით. დავრჩი ისევ ჩემს მამულში, განვეწესე სამსახურში".⁸).

ხელგაშლილმა უყაირათო ცხოვრებამ და გამუდმებულმა ავადმყოფობამ მელიტონი უკიდურეს სიღარიბეში ჩააგდო. მამულები ვალებში გაეყიდა. ამის გამო ბარათაშვილი იძულებული გახდა მთელი თავისი მცირე ჯამაგირით ოჯახს დახმარებოდა.

1844 წლის იანვრის პირველ რიცხვებში მელიტონს დამბლა დაეცა, ამან უფრო უკან დასწია ბარათაანთ მატერიალური მდგომარეობა. კუნგურიდან 19 იანვრის თარიღით გამოგზავნილ წერილში გრიგოლ ორბელიანი ასე აუწყებდა თავის ძმას ზაქარიას: ამ არასასიამოვნო ამბავს. „ილიასაგან მომივიდა წიგნი, რომელშიაც მაცნობებს მელიტონის დამბლობასა. შენი მტერი შესწუხდეს, ისე როგორც მე ამ ამბითა".⁹).

იმავე წლის დასაწყისში ბარათაშვილი ნახჭევანს წავიდა ლევან მელიქიშვილთან ერთად.

1845 წელს პოეტი გადაყვანილ იქნა განჯაში მაზრის უფროსის თანაშემწედ. იქ 9 ოქტომბერს გარდაიცვალა.

შვილის სიკვდილმა მელიტონზე თავზარდამცემად იმოქმედა. მელიტონის აუწერელ მწუხარებაზე ილია ორბელიანი ასე სწერს გრიგოლ ორბელიანს: „მელიტონის ყურებისათვის ვერ გამიძლია, გულს ცეცხლი მეკიდება და აღარა მესმის რა, ნეტაი შენა, რომ მელიტონს არ ხედავ".¹⁰)

1845 წლის 16 ოქტომბერს მარჩენალი შვილის დაკარგვით გულდათუთქული მელიტონი დეკანოზ დიმიტრი ალექსი-მესხიშვილს სთხოვდა:

„მაღალ ღირსო მამაო დეკანოზ დიმიტრი! უმდაბლესად გთხოვთ ახლათ ვარდაცვალებულისა ჩემის შვილის ნიკოლოზის პანაშიდი შეიდ წირვა გთხოვთ გარდუხადოთ შესრულების მეძღვრად. ამის საწირავს მოვართმევთ, — რომელზედაც ხელს ვაწერ". ¹¹)

ოთხი წლის შემდეგ მელიტონმა მეუღლეც დაჰკარგა.

მელიტონმა დასტოვა ქალაქი და სოფელში გადასახლდა.

1860 წლის 6 დეკემბრის თარიღით ძალუა ქეთევან ორბელიანთან გაგზავნილ წერილში გრიგოლ ორბელიანი მელიტონის შესახებ სწერდა: „მელიტონ მომიკითხე, როგორ არის და თბილისისთვის ხომ არ ოხრავს". ¹²)

რამდენიმე დღის შემდეგ ოსიაურის მიწამ სამუდამოდ მიიბარა მელიტონ ბარათაშვილის გვამი.

ზ. ი.

---

¹) „ნ. ბარათაშვილი" 1922 წ. გვ. VII.

²) საქ. ცენტრალური საარქ. სამმ. საგ. მნიშვ. საქ. ფონდი, საქმე № 171, ფურც. 84.

³) იგივე საქმე, ფურც. 85.

⁴) „საქ. ბატონყმობის ფაქტიური მასალები". 1925 წ. ტ. VI გვ. 382, 383.

⁵) საქ. ცენ. საარქ. სამმ. საგ. მნიშვ. საქ ფონდი, საქმე № 171 ფურც. 41

⁶) წერილის დედანი ჩემთან ინახება.

⁷) საქ. მუზ. პალ. განყ. ხელ. კოლექც. № 155 ბ.

⁸) იქვე, გვ. 89.

⁹) საქ. ცენტრალური საარქ. სამმ. საქ. მნიშ. საქ. ფონდი. საქმე № 175.

¹⁰) „ნ. ბარათაშვილი". 1922 წ. გვ. XXXV.

¹¹) იქვე, გვ. 243.

¹²) საქ. მუზ. პალ.. გან. ხელ. კოლ № 155 ა.

მკითხველთა წერილები

მეტი კონკრეტული კრიტიკა

საბჭოთა ქვეყნის ბედნიერ ახალგაზრდობას ცოდნის გადიდებაში დიდ სამსახურს გვიწევს პრესა. ამიტომ გვიყვარს პრესა. მე ძალიან მაინტერესებს ლიტერატურა და ლიტერატურის საკითხები. აღმაფრთოვანა იმ ამბის გაგებამ, რომ 1939 წლიდან გაზეთი ყოველ ექვსდღიურში გამოვა. 1938 წლის 20 დეკემბრის ნომერში წავიკითხე მწერალთა თათბირის შესახებ, რომელიც შეეხებოდა გაზეთის შემდგომ მუშაობას.

საუკეთესოა თქვენი გეგმები. ჩვენს სკოლაში არიან მოსწავლეები, რომლებსაც ჩემსავით აინტერესებთ ლიტერატურა. ჩვენ გთხოვთ—უფრო მეტი სწერეთ მწერალთა შემოქმედებაზე, კრიტიკულად განიხილოთ მხატვრული ნაწარმოებები, რომ უფრო გავადიდოთ ჩვენი ცოდნის ჰორიზონტი ლიტერატურის დარგში.

ლუბა თარგამაძე,
საჯავახოს საშუალო სკოლის მოსწავლე

მაიაკოვსკის ხსოვნის უკვდავსაყოფად

საკავშირო მწერალთა კავშირის პრეზიდიუმმა გადასწყვიტა, სახლი, სადაც დაიბადა მაიაკოვსკი (ბაღდათი), სასწრაფოდ, აღდგენილ იქნას იმ სახით, როგორც იგი პოეტის დაბადების პერიოდში იყო. ამ სახლის ოთახებში გაიმართება მუზეუმი. გარდა ამისა, ქუთაისის მუზეუმში გამოყოფილი იქნება მაიაკოვსკის კუთხე. ყველა ამ ღონისძიების ჩასატარებლად საკავშირო მწერალთა კავშირის პრეზიდიუმმა გამოჰყო სათანადო თანხა.

კომედია უმცროს ჰასაკის ბავშვთათვის

მარიკა მიქელაძემ უმცროს ჰასაკის ბავშვთათვის დასწერა კომედია „უჩინარი ზურა". პიესა დასადგმელად მიიღო მოზარდმაყურებელთა თეატრმა.

„უჩინარ ზურას" სდგამს რეჟისორი გიორგი დარისპანიშვილი.

შეცდომის გასწორება

„ლიტ. საქართველოს" № 31-ში მეოთხე გვერდზე მოთავსებულ წერილში „ეპიზოდი პ. იოსელიანის ცხოვრებიდან" მეორე სვეტში სადაც ლაპარაკია პლ. იოსელიანის გაზეთ „ზაკავკასკი ვესტნიკის" რედაქტორობის შესახებ სწერია „რომელ თანამდებობაზედაც იყო 1956 წლამდე" უნდა იყოს „რომელ თანამდებობაზედაც იყო 1856 წლამდე".

პასუხისმგებელი რედაქტორი **შალვა რადიანი.**

რედაქციის მისამართი: თბილისი, მაჩაბლის ქუჩა № 13 (მწერალთა სახლი) ტელეფონი 3—47—10.

[illegible] „კომუნისტი", [illegible] № 69.

მთავლიტის რწმუნებული ა—854